

სექსუალური ძალადობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დეფინიცია ევრაზიის ქვეყნებში:

თანხმობაზე დაფუძნებული განმარტება

უკრაინა, საქართველო, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი

იანვარი, 2023

Equality Now
A just world for women and girls.

ორგანიზაცია Equality Now-ს შესახებ

Equality Now ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც 1992 წელს დაარსდა და მსოფლიოს მასშტაბით იცავს და ხელს უწყობს ქალებისა და გოგონების უფლებებს. ჩვენი კამპანიები ოთხ პროგრამულ სფეროზეა ორიენტირებული: კანონის წინაშე თანასწორობა, სექსუალური ძალადობის აღმოფხვრა, საზიანო პრაქტიკების აღმოფხვრა და სექსუალური ექსპლოატაციის მიზნით ტრეფიკინგის დასრულება მოზარდი გოგონების უნიკალურ საჭიროებებზე აქცენტირებული, ინტერსექციური მიდგომით.

Equality Now, საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნულ-სამართლებრივი ადვოკატირების გზებით მუშაობს ქალებისა და გოგონებისთვის სამართლებრივი და სისტემური ცვლილებების მისაღწევად და სახელმწიფოთა მიერ მათი უფლებების დამცავი კანონებისა და პოლიტიკის შესამუშავებლად და აღსრულების უზრუნველსაყოფად.

Equality Now არის გლობალური ორგანიზაცია, რომელსაც პარტნიორები და წევრები მთელ მსოფლიოში ჰყავს. მსოფლიოს მასშტაბით თქვენ იპოვით ჩვენს 70-ზე მეტ გუნდს, მათ შორის, ისეთ ადგილებში, როგორებიცაა ბენინი, ბეირუთი, ლონდონი, ჟენევა, სან ხოსე, ნიუ-იორკი, ნაირობი, თბილისი და ვაშინგტონი.

დამატებითი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ www.equalitynow.org

facebook.com/equalitynoworg

@equalitynow

@equalitynoworg

მადლობა

Equality Now დაუღალავი ძალისხმევისთვის, მათ შორის, ანგარიშის კვლევისა და მომზადების პროცესში დახმარებისთვის, მადლობას უხდის შემდეგ ორგანიზაციებსა და ადამიანებს, განსაკუთრებით:

ჩვენ ვაფასებთ ანგარიშის შინაარსის შემუშავებაში Equality Now-ს წარმომადგენლების: ალექსანდრა პაცალიდესის (გლობალური სამართლებრივი მრჩეველი), დარიანა გრიაზნოვას (ევრაზიის სამართლებრივი მრჩეველი), თამარ დეკანოსიძისა (ევრაზიის რეგიონული წარმომადგენელი) და ჯეკი ჰანტის (გლობალური ლიდერი - სექსუალური ძალადობის აღმოფხვრა) წვლილს, ასევე, ფარეჰა ალი იაიას (გლობალური კონტენტის ოფიცერი), ქეთრინ ფეინის (ციფრული და წარმოების გლობალური ხელმძღვანელი) და ჯანეტ ახილგოვას (რუსეთისა და ცენტრალური აზიის კონსულტანტი) წვლილს ანგარიშის მომზადებაში.

ასევე გვსურს, ანგარიშის შემუშავებისთვის ღირებული ინფორმაციისა და ანალიზის უზრუნველყოფისთვის მადლობა გადავუხადოთ სამართლებრივ ექსპერტებს:

დინა სმილოვა და ალმათ მუხამეჯანოვი (ყაზახეთი)
ჰალინა ფედკოვიჩი (უკრაინა)
იზა კასრელიშვილი (საქართველო)
კამოლა ალიევა (უზბეკეთი)
მუხაიხონ აბდურაუპოვა (ყირგიზეთი)

ასევე, მადლობა ვალენტინა ფროლოვას (Equality Now-ს კონსულტანტი) ადგილობრივი ექსპერტებისგან მიღებული ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზისთვის. მადლობა იზა კასრელიშვილს ტექსტის ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნისთვის და გოგა ხატიაშვილს და მედეა იმერლიშვილს ქართულ ენაზე თარგმნილი ტექსტის რედაქტირებისთვის.

დიზაინერი: პიტ უილბორნი

ფოტოგრაფები: Collab Media, Duka82, გენადი კრავჩენკო, mashabuba, Radist, recep-bg, Shalika Studio, ტარა ქერი, xalanx

გარეკანის ფოტო: Collab Media

სექსუალური ძალადობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დეფინიცია ევრაზიის ქვეყნებში: თანხმობაზე დაფუძნებული განმარტება

2 ორგანიზაცია Equality Now-ს შესახებ

2 მადლობა

4 შესავალი

5 I. გაუპატიურების განმარტება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით

6 (a) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები

8 (b) ადამიანის უფლებათა რეგიონული სტანდარტები

10 (c) ქვეყნების მაგალითები: ბელგია, მალტა და შვედეთი

10 ბელგია

11 მალტა

11 შვედეთი

12 II. სექსუალური ძალადობის განმარტება საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უკრაინისა და უზბეკეთის კანონმდებლობაში, დანაშაულის ელემენტებთან მიმართებით

13 (A) სექსუალური ძალადობის განმარტება და გამოწვევები

13 გაუპატიურება

14 სექსუალური ხასიათის ქმედება

14 სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვა ქმედებების იძულება და ამ ქმედებების მესამე პირის მიმართ ჩადენა

17 მეუღლისა და ინტიმური პარტნიორის გაუპატიურება

18 (B) სექსუალური ძალადობის არსებულ განმარტებებთან დაკავშირებული გამოწვევები

18 „ძალადობის“ ძირითადად ფიზიკური ძალის გამოყენებად განმარტება

20 „ძალადობის მუქარის“ შეზღუდული განმარტება

21 „მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენების“ დებულებები უგულებელყოფს ბევრ სხვა მიზეზს, რომელთა გამოც მსხვერპლს არ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა

22 უკრაინაში მოქმედ თანხმობაზე დაფუძნებული გაუპატიურების განმარტებასთან დაკავშირებული გამოწვევები

24 III. ევრაზიის ქვეყნებში სექსუალური ძალადობის განმარტებების საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგება

25 1. კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეცვლის აუცილებლობა - როგორი ფორმით უნდა მოხდეს ეს

25 სექსუალური ძალადობის თანხმობაზე დაფუძნებული განმარტების დანერგვა

25 სხვა ადამიანის მისი თანხმობის გარეშე მესამე პირთან სექსუალური ხასიათის ქმედებაში ჩაბმის ცალსახა კრიმინალიზაცია

25 ადამიანის თავისუფალი ნება გარემომცველი პირობების კონტექსტში უნდა შეფასდეს

26 „უმწეო მდგომარეობა“ უნდა მოიცავდეს ბევრ სხვა მიზეზს, რომელთა გამო მსხვერპლმა, შესაძლოა, ვერ გასწია წინააღმდეგობა

26 დამატებითი ძალის ან ძალადობის მტკიცებულება არ უნდა მოითხოვებოდეს

26 უკრაინის პროგრესული კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულების უზრუნველყოფა

27 2. არსებული სამართლებრივი დებულებების ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინტერპრეტაცია

27 გაუპატიურება

27 ძალადობა და მტკიცებულებითი მოთხოვნები

28 ძალადობის მუქარა

28 მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენება

29 შეღწევა/სქესობრივი კავშირი

29 სექსუალური ხასიათის ქმედებები

30 IV. დასკვნა და რეკომენდაციები

33 დანართი - კანონმდებლობა

34 უკრაინა

35 საქართველო

37 ყირგიზეთი

39 უზბეკეთი

40 ყაზახეთი

შესავალი

Photo by Shalika Studio

წინამდებარე ანგარიში მიმოიხილავს სქესობრივი დანაშაულების **საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უკრაინისა** და **უზბეკეთის** სისხლის სამართლის კოდექსებით გათვალისწინებულ განმარტებებთან და ინტერპრეტაციებთან დაკავშირებულ გამოწვევებს. ანგარიშში შემოთავაზებულია ამ დებულებებში საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა, ასევე, სამართლებრივი რეფორმის განხორციელებამდე, ამჟამად მოქმედი ნორმების იმგვარი ინტერპრეტაცია, რომლის თანახმადაც, მოქმედი კანონმდებლობის განმარტება შესაძლებელი იქნება ადამიანის უფლებათა იმ საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც განსახილველი სახელმწიფოებისთვის სავალდებულო ხასიათისაა. ანგარიშში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია იმ დებულებებზე, რომლებიც სექსუალური ძალადობის სრულწლოვან მსხვერპლებს მიემართება.

პირველ ნაწილში მიმოხილულია საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა, თუ როგორ უნდა მოხდეს სქესობრივი დანაშაულების განმარტება და ინტერპრეტაცია. მეორე ნაწილში განხილულია სქესობრივი დანაშაულების განმარტებები საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უკრაინისა და უზბეკეთის ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით და გამოკვეთილია ამ დებულებების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული გამოწვევები. მესამე ნაწილი მიემართება გზებს, თუ როგორ უნდა შეიცვალოს დასახელებულ ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობა ადამიანის უფლებათა რეგიონულ და საერთაშორისო სტანდარტებთან მისასადაგებლად, და განმარტებულია, თუ როგორ შეიძლება მოქმედი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია მსხვერპლებისთვის მართლმსაჯულებაზე უკეთესი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

ჩამოთვლილ ქვეყნებში, გარდა უკრაინისა, სქესობრივი დანაშაულების მარეგულირებელი დებულებების განმარტებები არღვევს ადამიანის უფლებათა რეგიონულ და საერთაშორისო სტანდარტებს, რამდენადაც, არ უზრუნველყოფს სექსუალური ძალადობის ყველა აქტის სათანადო კრიმინალიზაციასა და დასჯას, რითაც მოძალადეებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დასჯისგან თავის დაღწევის არაერთ შესაძლებლობას უქმნის, ხოლო სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას საგრძნობლად უზღუდავს.

კონკრეტულად უკრაინასთან მიმართებით, ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა მოხდეს სქესობრივი დანაშაულის დებულებების ინტერპრეტაცია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, თუ როგორ უნდა აღასრულოს გაუპატიურების არსებული ნორმა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემამ.

I. გაუპატიურების განმარტება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით

ანგარიშის ამ ნაწილში განხილულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა შესაბამის ქვეყნებთან მიმართებით.

Photo by xalanx

(a) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები

Photo by Duka82

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებისა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სამართლის წლების მანძილზე განვითარების შედეგად, თანმიმდევრულად და მტკიცედ იქნა აღიარებული, რომ გაუპატიურების განმარტება, რომელიც ფიზიკური ძალადობის, იძულების, მუქარის ან/და მსხვერპლის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის მტკიცების საჭიროებას ეფუძნება, სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისთვის სათანადოდ არ უზრუნველყოფს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას.[1] გაუპატიურება, თავისი არსით, ძალადობრივი ქმედებაა და მოძალადეს არ უნდა ჰქონდეს დამატებითი ძალადობის გამოყენების სამართლებრივი მოთხოვნა.

ყოფილი იუგოსლავიისა[2] და რუანდის[3] *ad hoc* ტრიბუნალების პრეცედენტულმა სამართალმა მნიშვნელოვანი პრეცედენტი ჩამოაყალიბა, რომლის თანახმად, მსხვერპლის თანხმობა მხედველობაში არ უნდა მიიღებოდეს, თუ არსებულმა გარემოებებმა მას წაართვა „ნებაყოფლობითი და ნამდვილი თანხმობის“ გაცხადების შესაძლებლობა, როდესაც დამნაშავემ „ძალადობა, ძალადობის მუქარა ან იძულება“, ან „ნების დამთრგუნველი გარემო“ გამოიყენა.[4] უფრო მეტიც, არ უნდა ჩაითვალოს, რომ თანხმობა ნებაყოფლობითი ან თავისუფალია, თუკი იგი ნების დამთრგუნველ გარემოებებში გაიცა.

დოკუმენტში განხილულ ხუთივე სახელმწიფოს რატიფიცირებული აქვს **გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW),** რომელიც ყველა სახელმწიფოსგან მოითხოვს, „გააუქმონ თავიანთი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ყველა ისეთი დებულება, რომელიც ქალთა დისკრიმინაციას განაპირობებს“.[5]

აღნიშნული ვალდებულება, **CEDAW კომიტეტის მე-19 და 35-ე ზოგად რეკომენდაციებთან** ერთობლიობაში, თითოეული სახელმწიფოსგან მოითხოვს, გაუქმდეს გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების ნებისმიერი დისკრიმინაციული განმარტება, ისევე, როგორც ნებისმიერი ამგვარი პროცესუალური კანონი, რომელიც სქესობრივ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივ დევნასა და ამ ქმედებების დასჯადობას არეგულირებს.

CEDAW კომიტეტის მიერ განვითარებული პრეცედენტული სამართალი აღიარებს თანხმობის არარსებობაზე დაფუძნებული გაუპატიურების განმარტების შემოღების მნიშვნელობას და მოიცავს ნების დამთრგუნველ მთელ რიგ გარემოებებს, რომელთა არსებობის პირობებში თანხმობა არ უნდა მიიჩნეოდეს ნამდვილ თანხმობად.

საქმეში ***Karen Tayag Vertido v The Philippines***[6] CEDAW კომიტეტმა საგანგებოდ მიუთითა, რომ „კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში არ უნდა ივარაუდებოდეს, რომ ქალი თანხმობას გასცემს, რადგან არასასურველ სექსუალურ ქცევაზე ფიზიკური წინააღმდეგობა არ გასწია, მიუხედავად იმისა, ემუქრებოდა თუ არა მოძალადე ფიზიკური ძალადობის გამოყენებით“.[7] კომიტეტმა განმარტა, რომ „გაუპატიურება წარმოადგენს ქალის პირადი

1 CEDAW კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია №35 (2017); CEDAW კომიტეტი, საქმე Karen Tayag Vertido v the Philippines (CEDAW/C/46/D/18/2008); გადაწყვეტილება საქმეზე Prosecutor v Jean-Paul Akayesu, ICTR-96-4-T (1998 წლის 2 სექტემბერი); გადაწყვეტილება საქმეზე Prosecutor v Kunarac, Kovac and Vukovic, IT-96-23 & IT-96-23/1-A (2002 წლის 12 ივნისი); გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „გაეროს სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის კანონმდებლობის შესახებ“ (2012), ხელმისაწვდომია: https://www.unwomen.org/sites/default/files/Headquarters/Attachments/Sections/Library/Publications/2012/12/UNW_Legislation-Handbook%20pdf.pdf; გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „ცოდნის ვირტუალური ცენტრი ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის დასასრულებლად“, „კანონმდებლობის“ სექცია, ხელმისაწვდომია: http://www.endvawnow.org/en/modules/view/8-legislation.html

2 სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიისთვის, Prosecutor v. Kunarac et al., საქმე №IT-96-23-T & IT-96-23/1-T, 2001 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება.

3 სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი რუანდისთვის, Prosecutor v. Akayesu, საქმე №ICTR-96-4-T, 1998 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება.

4 იქვე. პარა. 686 და 688.

5 კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (მიღებულია 1979 წლის 18 დეკემბერს, ძალაში შესულია 1981 წლის 3 სექტემბერს) 1249 UNTS 1 (CEDAW), მუხლი 2.

6 CEDAW კომიტეტი, საქმე Karen Tayag Vertido v the Philippines (CEDAW/C/46/D/18/2008).

7 იქვე. პარა. 8.5.

უსაფრთხოებისა და სხეულის ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას, და რომ მისი არსებითი ელემენტი არის თანხმობის არარსებობა".[8]

ფილიპინებს შემდგომში დაუდგინდა ქალთა ეფექტიანი დაცვის ვალდებულებების დარღვევა დისკრიმინაციული კანონებისა და პრაქტიკის, ასევე, გენდერულად სტერეოტიპული კულტურის პრაქტიკების შენარჩუნების საფუძვლით.[9] შესაბამისად, კომიტეტმა შემდეგი რეკომენდაცია მისცა:

„*(i)* გადაისინჯოს გაუპატიურების განმარტება კანონმდებლობაში, რათა მის ცენტრალურ ელემენტად განისაზღვროს თანხმობის არარსებობა;

(ii) გაუქმდეს კანონმდებლობის ნებისმიერი მოთხოვნა სექსუალური ძალადობის ძალის ან ძალადობის გამოყენებით ჩადენის შესახებ, ისევე, როგორც შეღწევის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოთხოვნა და მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი პროცესში მონაწილეობისას მომჩივნის მეორეული ვიქტიმიზაცია სექსუალური ძალადობის იმგვარი განმარტების ამოქმედების მეშვეობით, *რომელიც:*

ა. მოითხოვს „ცალსახა და ნებაყოფლობითი შეთანხმების" არსებობას, ასევე, მტკიცებულებას ბრალდებულის მხრიდან გადადგმული ნაბიჯების შესახებ იმის დადგენის მიზნით, აცხადებდა თუ არა მომჩივანი თანხმობას; ან

ბ. მოითხოვს, რომ ქმედება „ნების დამთრგუნველ გარემოებებში" განხორციელდეს და ამგვარი გარემოებების ფართო სპექტრს მოიცავდეს*".*[10]

Vertido-ს საქმის შემდგომ, CEDAW კომიტეტმა გააფართოვა აღნიშნული სტანდარტი. 2017 წელს მან რეკომენდაცია გაუწია სახელმწიფოებს, უზრუნველყონ, რომ სქესობრივი დანაშაულის განმარტებები, მათ შორის, მეუღლის მიერ ჩადენილ და პაემანზე გაუპატიურების შესახებ, ეფუძნებოდეს „თავისუფლად გაცემული თანხმობის არარსებობას და ითვალისწინებდეს ნების დამთრგუნველ გარემოებებს".[11] ნების დამთრგუნველი გარემოებები მნიშვნელოვანია თანხმობის არარსებობის გაგებისა და კონტექსტის მიხედვით შესაფასებლად.

2019 წელს, **გაერთიანებული ერების შვიდმა დამოუკიდებელმა პლატფორმამ და ქალთა მიმართ ძალადობისა და ქალთა უფლებების დაცვის რეგიონულმა ექსპერტებისგან შემდგარმა მექანიზმებმა** ერთობლივად მოუწოდეს ყველა სახელმწიფოსა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს მთელ მსოფლიოში, იმოქმედონ გაუპატიურების, როგორც გენდერის ნიშნით ძალადობისა და ადამიანის უფლებების დარღვევის, წინააღმდეგ და უზრუნველყონ, რომ გაუპატიურების განმარტება, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ეფუძნებოდეს თანხმობის არარსებობას.[12]

ჰააგის პრინციპები სექსუალური ძალადობის შესახებ (2019) გვთავაზობს იმ ფაქტორების არასრულ ჩამონათვალს, რომლებიც, შესაძლოა, რელევანტური იყოს იმის დასადგენად, ქმედება ჩადენილი იყო თუ არა ამგვარი თანხმობის გარეშე. მაგალითად, დაზარალებული პირის მოწყვლადობა, რომელიც დამნაშავემ სტრატეგიულ უპირატესობად მიიჩნია; დამნაშავეზე ნებისმიერი სახის დამოკიდებულება; გაცნობიერება იმისა, რომ დამნაშავემ წარსულში გამოიყენა ძალადობა დაზარალებულის ან მესამე მხარის მიმართ, როგორც სასჯელი მისი მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის.[13]

8 იქვე. პარა. 8.7.

9 მე-2 მუხლის „გ" და „ვ" ქვეპუნქტებისა და მე-5 მუხლის „ა" ქვეპუნქტის დარღვევა CEDAW-ს პირველ მუხლთან და CEDAW კომიტეტის №19 ზოგად რეკომენდაციასთან ერთად.

10 CEDAW კომიტეტი, საქმე Karen Tayag Vertido v the Philippines (CEDAW/C/46/D/18/2008), პარა. 8.9(ბ). ამავე ჭრილში, ქალთა მიმართ ძალადობის კანონმდებლობის შესახებ გაეროს სახელმძღვანელო რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოებს, გააუქმონ მოთხოვნა, რომ სექსუალური ძალადობა ჩადენილ უნდა იქნეს ძალის ან ძალადობის გამოყენებით და, ნაცვლად ამისა, დანერგონ განმარტებები, რომლებიც ან „მოითხოვს „ერთმნიშვნელოვანი და ნებაყოფლობითი შეთანხმების არსებობას", ასევე, მომჩივნის თანხმობაში დასარწმუნებლად ბრალდებულის მიერ გადადგმული ნაბიჯების დამადასტურებელ მტკიცებულებას; ან რომელიც მოითხოვს, რომ ქმედება ჩადენილ იქნეს „ნების დამთრგუნველ გარემოებებში" და მოიცავდეს ამგვარი გარემოებების ფართო სპექტრს", გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „გაეროს სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის კანონმდებლობის შესახებ" (2012), ხელმისაწვდომია: https://www.unwomen.org/sites/default/files/Headquarters/Attachments/Sections/Library/Publications/2012/12/UNW_Legislation-Handbook%20pdf.pdf, თავი 3.4.3.1.

11 CEDAW კომიტეტი, 'ზოგადი რეკომენდაცია №35' (2017), პარა. 29(ე).

12 გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, „ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე 2019 წლის 25 ნოემბერი" (2019 წლის 22 ნოემბერი), ხელმისაწვდომია: https://www.ohchr.org/en/press-releases/2019/11/international-day-elimination-violence-against-women25-november-2019

13 „ჰააგის პრინციპები სექსუალური ძალადობის შესახებ", ხელმისაწვდომია: https://4genderjustice.org/ftp-files/publications/The-Hague-Principles-on-Sexual-Violence_Ge.pdf, „სამოქალაქო საზოგადოების დეკლარაცია სექსუალური ძალადობის შესახებ", ნაწილი 5.

(b) ადამიანის უფლებათა რეგიონული სტანდარტები

ანგარიშში მიმოხილული ქვეყნებიდან მხოლოდ საქართველო და უკრაინა არიან ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები და, შესაბამისად, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სისტემის ნაწილი. თუმცა, ყველა სახელმწიფოს შეუძლია, მხედველობაში მიიღოს ადამიანის უფლებათა აღნიშნული სტანდარტები, რამდენადაც, ეს სტანდარტები, ასევე ასახავს იმ საერთაშორისო ინსტრუმენტებით განმტკიცებულ პრინციპებს, რომლებიც დანარჩენი ქვეყნებისთვის თავისთავად სავალდებულოა. ყველა ქვეყანამ უნდა გააუმჯობესოს თავისი ეროვნული კანონმდებლობა და პროცედურები, გენდერული და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა განგრძობითი დაცვის უზრუნველსაყოფად.

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია), რომელიც რატიფიცირებული აქვთ საქართველოსა და უკრაინას, ადამიანის უფლებათა პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომლის დებულებებიც უშუალოდ მოითხოვს სახელმწიფოებისგან, შეიმუშაონ სექსუალური ძალადობის, მათ შორის, გაუპატიურების შემდეგნაირი განმარტება:

მუხლი 36 – სექსუალური ძალადობა, მათ შორის, გაუპატიურება

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს წინასწარგანზრახული ქცევის შემდეგი ფორმები:
ა. სხვა ადამიანის სხეულში, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით;
ბ. ადამიანთან, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის სხვა აქტების განხორციელება;
გ. სხვა ადამიანის იძულება, მისი თანხმობის გარეშე, მესამე პირთან დაამყაროს სექსუალური ხასიათის აქტები.

2. თანხმობა უნდა გაიცემოდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით.

3. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირველი პუნქტის დებულებები ასევე გამოიყენებოდეს იმ აქტების შემთხვევაშიც, რომლებიც ჩადენილია ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლეების ან პარტნიორების მიმართ, როგორც ეს აღიარებულია შიდა კანონმდებლობის საფუძველზე.

სახელმწიფოებმა, უნდა განახორციელონ „მტკიცებულებების კონტექსტის შესაბამისი შეფასება, რათა თითოეულ შემთხვევაში დაადგინონ, თავისუფლად დათანხმდა თუ არა მსხვერპლი სექსუალური ხასიათის ქმედებას“. ამგვარმა შეფასებამ „უნდა მოიცვას სექსუალურ ძალადობასა და გაუპატიურებაზე ქცევითი რეაქციების ფართო სპექტრი, რომლებსაც ავლენენ მსხვერპლები და არ უნდა ეფუძნებოდეს ასეთ სიტუაციებში ვარაუდებს მსხვერპლის ტიპური ქცევის შესახებ“.[14] იმის დასადგენად, იყო თუ არა თანხმობა გამოხატული, გამომძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები არ უნდა მოექცნენ გენდერული სტერეოტიპებისა და გაუპატიურების შესახებ მითების გავლენის ქვეშ და უნდა გააცნობიერონ, რომ სექსუალურ ძალადობაზე რეაგირებისას „ტიპური ქცევა“ არ არსებობს.[15]

14 „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში (მიღებულია 2011 წლის 11 მაისს, ძალაში შესულია 2014 წლის პირველ აგვისტოს) CETS №210 („სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში“), პარა. 192.
15 საქმე Karen Tayag Vertido v the Philippines (CEDAW/C/46/D/18/2008), პარა. 3.5.1-3.5.8 გენდერული სტერეოტიპების მაგალითების შესახებ.

სტამბოლის კონვენცია სახელმწიფოებს ცალსახად ავალდებულებს, უზრუნველყონ, რომ კონვენციის 36-ე მუხლის პირველი პარაგრაფით განსაზღვრული განზრახი ქმედებების კრიმინალიზაცია ვრცელდებოდეს თანხმობის გარეშე ჩადენილ სექსუალური ხასიათის ყველა ქმედებაზე, განურჩევლად მოძალადესა და მსხვერპლს შორის ურთიერთობისა. აღიარებულია, რომ სექსუალური ძალადობა და გაუპატიურება „ძალადობრივ ურთიერთობებში ძალაუფლების დემონსტრირებისა და კონტროლის გავრცელებული ფორმაა და, დიდია ალბათობა, ადგილი ჰქონდეს ურთიერთობის დასრულებისას და მის შემდგომ. კრიტიკულად მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ამგვარი ქმედებების კრიმინალიზაციისა და სისხლისსამართლებრივი დევნიდან არ არსებობდეს გამონაკლისები ქმედების ამჟამინდელი ან ყოფილი მეუღლის ან პარტნიორის მიმართ ჩადენის შემთხვევაში, როგორც ეს აღიარებულია შიდა კანონმდებლობით“.[16]

გარდა ამისა, **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს** პრეცედენტული სამართალი, სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან მიმართებით, მნიშვნელოვან პრეცედენტს ადგენს სექსუალური ძალადობის მსხვერპლების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

პრეცედენტული მნიშვნელობის საქმეში, M.C. v Bulgaria, სასამართლომ დაადგინა, რომ „მსხვერპლის თანხმობის გარეშე სექსუალური ხასიათის ნებისმიერი შეღწევა წარმოადგენს გაუპატიურებას, და რომ *თანხმობა უნდა იყოს გაცემული ნებაყოფლობით, პიროვნების თავისუფალი ნების შედეგად, შეფასებული გარემომცველი პირობების კონტექსტში“*.[17] ამ საქმეში განმცხადებელს ფიზიკური წინააღმდეგობა არ გაუწევია, რასთან დაკავშირებითაც მან განმარტა, რომ ეს არ გააკეთა, რადგან „მას წინააღმდეგობის გაწევის ან ყვირილის ძალა არ ჰქონდა. მისი მცდელობები პ.-ს უკან დასახევად წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან იგი ბევრად უფრო ძლიერი იყო“.[18] სასამართლომ განმარტა, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლები, განსაკუთრებით, მოზარდი გოგონები, სხვადასხვაგვარად რეაგირებენ ნების დამთრგუნველ და დამაშინებელ გარემოებებზე, მაგალითად, ასაკით უფროსი კაცების მიერ დაუსახლებელ ადგილას განზრახ მიყვანის დროს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ „ნებისმიერი მკაცრი/ხისტი მიდგომა სექსუალური ხასიათის დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიმართ, როგორიცაა, ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულების ყველა გარემოებაში მოთხოვნა, გაუპატიურების გარკვეული ფორმების დაუსჯელობის რისკს ქმნის და ამით საფრთხეს უქმნის ადამიანის სექსუალური ავტონომიის ეფექტიან დაცვას“.[19] ამდენად, სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, მოახდინონ კრიმინალიზაცია და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა „თანხმობის გარეშე განხორციელებული სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ქმედების, მათ შორის, მსხვერპლის მხრიდან ფიზიკური წინააღმდეგობის არარსებობის შემთხვევაში“.[20] სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, გაუპატიურების განმარტების განმსაზღვრელ ელემენტად, ნაცვლად ძალადობისა თუ წინააღმდეგობის გაწევისა, დამკვიდრდეს თანხმობის არარსებობა.

უფრო მეტიც, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პრეცედენტული სამართლის და მოქმედი რეგიონული მექანიზმებიდან ცხადი ხდება, რომ დამატებითი ძალადობის ან ძალის გამოყენების მოთხოვნა არ უნდა იყოს გაუპატიურების შემადგენელი ელემენტი, რამდენადაც, გაუპატიურება, თავისთავად, ძალადობრივი ქმედებაა. ნაცვლად ამისა, როგორც სტამბოლის კონვენციის 46-ე მუხლით არის გათვალისწინებული, დამამძიმებელი გარემოებები (როგორიცაა დამატებითი ძალადობის გამოყენება), შესაძლოა, მხედველობაში მიიღებოდეს სექსუალური ხასიათის დანაშაულებისთვის სასჯელის განსაზღვრისას.[21] სხვა მაგალითები მოიცავს ისეთ ქმედებებს, როდესაც დანაშაული ჩადენილია ორი ან მეტი ადამიანის მიერ, არაერთგზის, იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით.[22]

16 სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარა. 194.
17 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე M.C. v Bulgaria, App. №39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარა. 102-107 და 163 (ხაზგასმა დამატებულია).
18 იქვე. პარა. 17.
19 იქვე. პარა. 166.
20 იქვე.
21 სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარა. 234.
22 სპეციალური მომხსენებლის ანგარიში ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ, „გაუპატიურება, როგორც ადამიანის უფლებების მძიმე, სისტემატური და ფართოდ გავრცელებული დარღვევა, დანაშაული და ქალებისა და გოგონების მიმართ გენდერის ნიშნით ძალადობის გამოვლინება და მისი პრევენცია“ (A/HRC/47/26), პარა. 90(ბ).

(c) ქვეყნების მაგალითები:[23] ბელგია, მალტა და შვედეთი

სახელმწიფოებში, რომლებმაც გაუპატიურების თანხმობაზე დაფუძნებული განმარტება მიიღეს, დანერგილია ორი განსხვავებული სტანდარტი: თანხმობის ვეტო მოდელი - „არა ნიშნავს არა“-ს და მტკიცებითი მოდელი - „კი ნიშნავს კი“-ს. „არა ნიშნავს არა“ მოდელის მიხედვით, სქესობრივი კავშირი თანხმობაზე დაფუძნებულად მიიჩნევა მანამ, სანამ რომელიმე მხარე სიტყვით ან ქმედებით „არა“-ს არ გამოხატავს.[24] თუმცა, ხსენებული სტანდარტის თანახმად, აშკარა „არა“-ს დამადასტურებელი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, თავისთავად იგულისხმება თანხმობის არსებობა. ამ მოდელმა მსხვერპლის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულების მოთხოვნაზე ზედმეტი აქცენტი გამოიწვია, რაც ზემოთ აღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება.

მეორე მხრივ, „კი ნიშნავს კი“ მოდელი მხარეებისგან ქმედებებით, სიტყვიერად, ან სხვაგვარად, სექსუალური ხასიათის ქმედებაზე თანხმობის გამოხატვას მოითხოვს. **ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფმა (გრევიო)** „არა ნიშნავს არა“ მოდელი გააკრიტიკა. გრევიომ ასევე საგანგებოდ მიუთითა, რომ გარემოებები, რომლებშიც თანხმობა გაიცემა, სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში უნდა შეფასდეს, ხოლო მტკიცებულებები - კონტექსტის გათვალისწინებით.[25]

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგებული დამაიმედებელი პრაქტიკის მქონე ქვეყნებად გრევიომ **ბელგია, მალტა** და **შვედეთი** გამოავლინა, რომლებსაც სქესობრივი დანაშაულის თავისუფლად გაცემული თანხმობის არარსებობაზე დაფუძნებული განმარტებები აქვთ.

ბელგია

ბელგიამ გაუპატიურების განმარტება 2018 წელს შეცვალა, რის შედეგადაც, ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის პირველი ნაწილით გაუპატიურება განიმარტება, როგორც „ნებისმიერი სახის და საშუალების გამოყენებით სექსუალური ხასიათის ნებისმიერი შეღწევა, ჩადენილი პირის მიმართ მისი თანხმობის გარეშე“. ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თანხმობა გაცემულად არ ითვლება, თუ დანაშაული ჩადენილია ძალადობით, იძულებით ან მოტყუებით, ან მისი ჩადენა შესაძლებელი გახდა მსხვერპლის ფიზიკური ან გონებრივი დაუძლურებით. თუმცა, ეს გარემოებები ამომწურავი არ არის და დანაშაულის არსებით ელემენტებად არ მიიჩნევა.[26]

23 გრევიოზე დაყრდნობით, „გრევიოს საბაზო შეფასების ანგარიშების შუალედური ჰორიზონტალური მიმოხილვა“ (2022 წლის თებერვალი), ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/prems-010522-gbr-grevio-mid-term-horizontal-review-rev-february-2022/1680a58499

24 გერმანიისა (ნაწილი 177) და ავსტრიის (მუხლი 205 (ა)) სისხლის სამართლის კოდექსები.

25 გრევიო, „გრევიოს საბაზო შეფასების ანგარიშების შუალედური ჰორიზონტალური მიმოხილვა“ (№23), ასევე გამოხატავს თავის შეშფოთებას, რომ ავსტრია თანხმობას „არა ნიშნავს არა“ მოდელის მიხედვით განსაზღვრავს, რომელიც მსხვერპლისგან მოითხოვს, გამოხატოს „თავისი საპირისპირო ნება სიტყვიერად ან სხვაგვარად, რაც, შესაბამისად, არ მოიცავს შემთხვევებს, როდესაც მსხვერპლი პასიურ მდგომარეობაშია, თუმცა, თანხმობას არ გამოხატავს“, გვ. 108.

26 გრევიო, „საბაზო შეფასების ანგარიში ბელგიისთვის“, (მიღებულია 2020 წლის 26 ივნისს), ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-report-on-belgium/16809f9a2c, პარა. 155.

მალტა

სისხლის სამართლის კოდექსის 2018 წლის რეფორმების შედეგად, გაუპატიურება, ამჟამად, თანხმობის არარსებობას ეფუძნება. სისხლის სამართლის კოდექსის 198-ე მუხლი ადგენს, რომ მოქმედებს „თანხმობის არარსებობის პრეზუმფცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხმობა გაცემულია ნებაყოფლობით, პირის თავისუფალი ნების შედეგად, შეფასებულია გარემომცველი პირობების კონტექსტში და პირის იმდროინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, მათ შორის, სხვა ფაქტორებთან ერთად, მისი ემოციური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის მხედველობაში მიღებით“.[27]

სისხლის სამართლის კოდექსი ყოფილი ან მოქმედი მეუღლეების ან პარტნიორების მიერ ჩადენილი გაუპატიურების დამამძიმებელ გარემოებად კვალიფიკაციას ითვალისწინებს. კოდექსი, თანხმობის გარეშე ჩადენილ სქესობრივ დანაშაულებში (მუხლი 207), ასევე აერთიანებს თანხმობის გარეშე ჩადენილ სექსუალური ხასიათის იმგვარ ქმედებებს, რომლებიც შეღწევას არ გულისხმობს.

შვედეთი

შვედეთში თანხმობის გარეშე ჩადენილი სექსუალური ხასიათის ყველა ქმედება კრიმინალიზებულია. სექსუალური ხასიათის დანაშაულების შესახებ 2018 წლის პირველ ივლისს ძალაში შესული ცვლილებებით, სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 თავის პირველი და მეორე ნაწილებით სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ექვემდებარება სექსუალური ხასიათის შეღწევა ან სხვა ნებისმიერი ქმედება პირის მიმართ, „რომელშიც იგი ნებაყოფლობით არ მონაწილეობს“. სექსუალური ხასიათის ქმედებაში მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, რაც, თავის მხრივ, აღქმადი უნდა იყოს. პასიურობა, არ შეიძლება, თავისთავად, ქმედებაში ნებაყოფლობითი მონაწილეობის მიღებად ჩაითვალოს.

შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნულმა საბჭომ (Brå) 2020 წელს ახალი კანონის ეფექტიანობა განიხილა, კერძოდ, შეისწავლა, თუ როგორ ხდებოდა ნებაყოფლობითი მონაწილეობის ინტერპრეტაცია. შესწავლის ფარგლებში გამოიკვლიეს წინარე ინტიმური კავშირის მნიშვნელობა, რას ნიშნავს „თანხმობაზე უარის ადეკვატური გამოხატვა“ და პასიურობა. გარდა ამისა, შეისწავლეს საქმეები, სადაც თანხმობა ადეკვატურად არ იქნა მიჩნეული საიმისოდ, რომ მონაწილეობა ნებაყოფლობითად მიეჩნიათ.[28]

თავის მხრივ, მეტი საქმის წარმოებაა საჭირო პრეცედენტების განსავითარებლად და ნებაყოფლობითი მონაწილეობის გასაგებად, თუმცა, რამდენადაც ახალი კანონი მთელი რიგი ისეთი შემთხვევების კრიმინალიზაციას ახდენს, რაც მანამდე არ ისჯებოდა, ცვლილებები ამ ეტაპზეც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. აქ იგულისხმება იმგვარი სიტუაციებიც, სადაც ძალადობისა თუ მუქარისთვის არ მიუმართავთ და მსხვერპლი განსაკუთრებულად მოწყვლად ან დამოკიდებულების მდგომარეობაში არ ყოფილა, ასევე, ე.წ. მოულოდნელი გაუპატიურების საქმეები და შემთხვევები, სადაც მსხვერპლი სხვადასხვა მიზეზის გამო პასიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ახალი საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე, პროკურორებმა გადაწყვიტეს, პრიორიტეტი მიენიჭებინათ სისხლისსამართლებრივი დევნისთვის ისეთ საქმეებზე, რომლებიც მანამდე გაუპატიურების განმარტებაში არ ხვდებოდა.

გრევიოს ჯერჯერობით არ ჰქონია შესაძლებლობა, სიღრმისეულად შეეფასებინა ამ ცვლილებების შედეგები, რამდენადაც, თავად ცვლილებები ახალი მიღებულია. თუმცა, გრევიო აღნიშნავს, რომ გაუპატიურების ახალი კანონმდებლობის პირობებში, მოძალადეს ეკისრება პასუხისმგებლობა, დარწმუნდეს, რომ სექსუალური ხასიათის ყველა ქმედება ნებაყოფლობით ხდება. პერსპექტივის ეს ცვლილება არის სწორედ ის, რაც საჭიროა მსხვერპლის ქცევაზე ფოკუსირების თავიდან ასაცილებლად, მათ შორის, მის გარეგნობასა და ქმედებებზე, აქტამდე, აქტის დროს და მის შემდეგ.[29]

27 გრევიო, „საბაზო შეფასების ანგარიში მალტასთვის“, (მიღებულია 2020 წლის 15 ოქტომბერს), ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-inf-2020-17-malta-final-report-web/1680a06bd2, პარა. 169-170.

28 შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო (Brå), „თანხმობის ახალი კანონი პრაქტიკაში. გაუპატიურების შესახებ სამართლებრივ ნორმებში 2018 წლის ცვლილებების განახლებული მიმოხილვა Brå-ს ანგარიშის ინგლისური მოკლე შინაარსი 2020:6“, ხელმისაწვდომია: https://bra.se/download/18.7d27ebd916ea64de53065cff/1614334312744/2020_6_The_new_consent_law_in_practice.pdf. გვ. 6.

29 გრევიო, „საბაზო შეფასების ანგარიში შვედეთისთვის“, (გამოქვეყნებულია 2019 წლის 21 იანვარს), ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-inf-2018-15-eng-final/168091e686, პარა. 181-183.

II. სექსუალური ძალადობის განმარტება საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უკრაინისა და უზბეკეთის კანონმდებლობაში, დანაშაულის ელემენტებთან მიმართებით

Photo by recep-bg

პირველ ქვეთავში მოცემულია სექსუალური ძალადობის დანაშაულების ხუთი ქვეყნის დეფინიციები და გაანალიზებულია, თუ რამდენად შეესაბამება ეს დეფინიციები ადამიანის უფლებათა ზემოთ მითითებულ რეგიონულ და საერთაშორისო სტანდარტებს. მეორე ქვეთავი კი არსებულ განმარტებებთან დაკავშირებულ გამოწვევებს წარმოაჩენს.

(A) სექსუალური ძალადობის განმარტება და გამოწვევები

ევრაზიის იმ ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები, რომლებიც განსახილველ ანგარიშშია გაანალიზებული, სექსუალური ძალადობის სამი ძირითადი სახის კრიმინალიზაციას ახდენს: გაუპატიურება, სექსუალური ხასიათის ქმედება, სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის ქმედების იძულება.

გაუპატიურება

საქართველო (მუხლი 137); ყაზახეთი (მუხლი 120); ყირგიზეთი (მუხლი 154); უკრაინა (მუხლი 152); უზბეკეთი (მუხლი 118)

საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და **უზბეკეთის** სისხლის სამართლის კოდექსებში გაუპატიურების განმარტებების შემადგენელი ელემენტებია: ძალადობა, ძალადობის მუქარა ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენება. **ყაზახეთში, ყირგიზეთსა** და **უზბეკეთში** გაუპატიურების დანაშაული მოიცავს მხოლოდ პენისის მეშვეობით ვაგინალურ შეღწევას, ნაცვლად სხვა ადამიანის სხეულში შეღწევისა სხეულის რომელიმე ნაწილით ან საგნის გამოყენებით, რაზეც პირს თანხმობა არ განუცხადებია.[30]

საქართველოსა და **უკრაინის** სისხლის სამართლის კოდექსებში გაუპატიურების დეფინიცია დანაშაულის ჩადენის საშუალებებს არ განასხვავებს.[31]

უკრაინამ, რომელმაც სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება 2022 წლის ივნისში მოახდინა, გაუპატიურების თანხმობაზე დაფუძნებული, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განმარტება 2019 წლის იანვარში მიიღო. ამრიგად, უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, გაუპატიურება განიმარტება, როგორც „სექსუალური ხასიათის ქმედება, რომელიც გულისხმობს სასქესო ორგანოს ან სხვა საგნის გამოყენებით ადამიანის სხეულში ვაგინალურ, ანალურ ან ორალურ შეღწევას მსხვერპლის ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე“. 152-ე მუხლის განმარტებით შენიშვნაში აღნიშნულია, რომ „თანხმობა ნებაყოფლობითად ჩაითვლება, თუ იგი, სათანადო გარემოებების გათვალისწინებით, პირის თავისუფალი მოქმედების შედეგია“.[32] უკრაინის უზენაესმა სასამართლომ საგანგებოდ აღნიშნა, რომ გაუპატიურების ახალი განმარტება მსხვერპლის „თანხმობის არარსებობის პრეზუმფციას“ ეფუძნება.[33] სასამართლომ ასევე განმარტა,[34] რომ 152-ე მუხლი მოითხოვს, სექსუალური ხასიათის ქმედებები ჩადენილი იყოს მკაფიოდ გამოხატული, დამაჯერებელი ნებაყოფლობითობის პირობებში, რათა სხვა პირისთვის გასაგები იყოს, რომ ადამიანს სურს, მის სხეულში სექსუალური შეღწევა განახორციელონ. თანხმობა, შესაძლოა, გამოიხატებოდეს სიტყვიერი ჟესტიკულაციით, სახის გამომეტყველებით ან სხვა „თანმდევი ქმედებების“ მეშვეობით.[35] სისხლის სამართლის პროცესში თანხმობა გამყარებული უნდა იყოს მტკიცებულებებით, 152-ე მუხლით გათვალისწინებული მსხვერპლის თანხმობის არარსებობის პრეზუმფციით.

შესაძლოა, ასევე დადგინდეს გაუპატიურების პირდაპირი განზრახვა, თუ მოძალადე საკმარის მნიშვნელობას არ ანიჭებდა იმის გამორკვევას, მსხვერპლმა განაცხადა თუ არა თანხმობა; არ უფიქრია, დათანხმდა თუ არა მსხვერპლი ან გააცნობიერა, რომ მსხვერპლი სავარაუდოდ არ დათანხმდებოდა, თუკი სექსუალურ ძალადობას ჩაიდენდა.[36]

30 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 36(1)(ა), მოიცავს „სხვა ადამიანის სხეულში, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევის განხორციელება სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით“.

31 ქართული კანონმდებლობის დეტალური ანალიზი მოცემულია „საქართველოში პრაქტიკოსებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში“ (№31), ხელმისაწვდომია: https://live-equality-now.pantheonsite.io/wp-content/uploads/2021/11/Effectively_Investigating__Prosecuting_and_Adjudicating_Sexual_Violence_in_Georgia_-_A_Manual_-_GEORGIAN.pdf, გვ. 8-13.

32 უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის შენიშვნა.

33 უკრაინის უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება, მიღებული სისხლის სამართლის საკასაციო სასამართლოს მესამე სასამართლო პალატის მოსამართლეთა კოლეგიის მიერ, საქმე №566/1420/19.

34 იქვე.

35 იქვე. „конклюдентними діями“ როგორც აღნიშნულია თავდაპირველ ტექსტში.

36 იქვე.

სექსუალური ხასიათის ქმედება

საქართველო (მუხლი 138); ყაზახეთი (მუხლი 121); ყირგიზეთი (მუხლი 155); უკრაინა (მუხლი 153); უზბეკეთი (მუხლი 119).

სექსუალური ხასიათის ქმედებები,[37] რომლებიც, **ყაზახეთის, ყირგიზეთისა** და **უზბეკეთის** სისხლის სამართლის კოდექსების მიხედვით, ამჟამად არ ხვდება გაუპატიურების განმარტებებში, კვლავ მოითხოვს სექსუალური ხასიათის ქმედების ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით ჩადენას. თუმცა, გაუპატიურების დანაშაულისგან განსხვავებით, ეს დებულება ვრცელდება როგორც პენისით, ისე პენისის გარეშე განხორციელებულ *სხვაგვარ შეღწევაზე, რომელიც*, შესაძლოა, ასევე იყოს ჩადენილი იმავე სქესის პირების მიერ. დანაშაულის განმარტებაში გამოყენებულია დამამცირებელი ტერმინოლოგია, კერძოდ, „სოდომია, ლესბოსელობა ან სექსუალური ხასიათის სხვა ქმედებები გარყვნილი ფორმით“.[38] დანაშაული გაუპატიურების მსგავს სისხლისსამართლებრივ სასჯელებს ითვალისწინებს.

ამის საპირისპიროდ, **საქართველოსა** და **უკრაინაში** „სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება“ და „სექსუალური ძალადობა“, შეღწევის გარეშე განხორციელებულ სექსუალური ხასიათის ქმედებებს მოიაზრებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, „სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება“ შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ „ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით“. ეს მუხლი ეხება ყველა სახის სექსუალური ხასიათის ფიზიკურ კონტაქტს შეღწევის გარეშე (აუცილებელი არ არის შეხება კანზე - შესაძლოა ჩადენილი იყოს ტანსაცმლის მეშვეობითაც).

უკრაინაში, სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სექსუალური ძალადობა არის ნებისმიერი სახის სექსუალური ძალადობა, რომელიც არ არის დაკავშირებული სხვა ადამიანის სხეულში შეღწევასთან, ჩადენილი მსხვერპლის ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე.

სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვა ქმედებების იძულება და ამ ქმედებების მესამე პირის მიმართ ჩადენა

საქართველო (მუხლი 139); ყაზახეთი (მუხლი 123); ყირგიზეთი (მუხლი 156); უკრაინა (მუხლი 154); უზბეკეთი (მუხლი 121)

საქართველოს, ყაზახეთისა და **ყირგიზეთის** სისხლის სამართლის კოდექსებში, სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვა ქმედებების იძულება[39] გულისხმობს ნებისმიერი სახის ქცევას, რომელიც ჩადენილია:

- შანტაჟის ან მსხვერპლის მატერიალური ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით **(ყირგიზეთი)**;
- შანტაჟის, ქონების განადგურების, დაზიანების, ან ჩამორთმევის მუქარით, ან მსხვერპლის მატერიალური ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით **(ყაზახეთი)**;
- ქონებრივი დაზიანების, სახელის გამტეხი ინფორმაციის, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან ისეთი ცნობის გახმაურების მუქარით, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს ამ პირის უფლება, ანდა დაზარალებულის უმწეობის ან მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით **(საქართველო)**;
- როდესაც მსხვერპლი პროფესიულად, მატერიალურად ან სხვაგვარად არის დამოკიდებული მოძალადეზე **(უზბეკეთი)**.

ეს დანაშაული კვალიფიცირდება, როგორც „ნაკლებად მძიმე დანაშაული“ და ითვალისწინებს უფრო მცირე სასჯელებს, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონული და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით გაუპატიურებად არის კლასიფიცირებული.[40]

37 ეს აღწერა მოიცავს ქმედებებს, რომლებიც ამ მუხლებით არის კრიმინალიზებული, თუმცა თითოეული გაანალიზებული სისხლის სამართლის კოდექსი, ანალოგიური ქმედებებისთვის, სხვადასხვა დასახელებას იყენებს. მაგალითად, უზბეკეთში 119-ე მუხლის დასახელებაა „სექსუალური მოთხოვნილების არაბუნებრივი ფორმით დაკმაყოფილება ძალადობის გამოყენებით“, ხოლო ყაზახეთში 121-ე მუხლი დასათაურებულია, როგორც „სექსუალური ხასიათის ძალადობრივი ქმედებები“.

38 ყირგიზეთის სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე და ყაზახეთის სისხლის სამართლის კოდექსის 121-ე მუხლები. ანალოგიურად, უზბეკეთის სისხლის სამართლის კოდექსის 119-ე მუხლი ფარავს „სექსუალური მოთხოვნილების არაბუნებრივი ფორმით დაკმაყოფილებას“, რომელიც იმავე ქცევას გულისხმობს.

39 აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მუხლები ასევე ახდენს უშუალოდ იძულების კრიმინალიზაციას, რომელსაც შეღწევა ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი კონტაქტი არ მოჰყვება.

40 საქართველოში, დამამძიმებელი გარემოებების გარეშე ჩადენილი გაუპატიურება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვა წლამდე; დამამძიმებელი გარემოებების გარეშე ჩადენილი იძულება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 5 წლამდე. ყირგიზეთში, გაუპატიურება

ეს განმარტებები ეფუძნება პრობლემურ ვარაუდს, რომ თუ ქმედება არ არის ჩადენილი ფიზიკური ძალადობის ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის სერიოზული მუქარის გამოყენებით, ქმედება გაუპატიურებას ვერ უთანაბრდება და შესაძლოა მხოლოდ მცირე მნიშვნელობის დანაშაულად იქნეს მიჩნეული. ამგვარი დაშვება უგულებელყოფს სხვა და ხშირად თანაბრად სერიოზულ სხვა საშუალებებს, რომლებსაც მოძალადეები მსხვერპლის ნამდვილი და თავისუფალი ნების დასაძლევად იყენებენ. გრევიომ გააკრიტიკა მსგავსი ორდანაშაულიანი მიდგომა (სადაც გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის ქმედების დანაშაულებად, შესაძლებელია, კვალიფიცირდებოდეს მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როდესაც გამოიყენება ძალადობა, ძალადობის მუქარა ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობა).[41] მისი განმარტებით, ეს მიდგომა ეფუძნება „ძალისა და დაშინების გამოყენების, ასევე, გაუპატიურების მსხვერპლთა რეაქციების არასათანადო გაგებას“.[42]

წინარე მიგნებების შესაბამისად, საქართველოსთან მიმართებით **გრევიოს** საბაზო შეფასების ანგარიშში **მითითებულია:**

> *256.* გრევიო შეშფოთებით აღნიშნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ამჟამად ახდენს გაუპატიურების ორი განსხვავებული ტიპის ქმედების კრიმინალიზებას, რომელთაგან ერთს ეწოდება გაუპატიურება *(მუხლი 137)* და ითვალისწინებს უფრო სერიოზულ სასჯელებს, ხოლო მეორეს ეწოდება სქესობრივი კავშირის იძულება *(მუხლი 139)* და განისაზღვრება, როგორც ნაკლებად მძიმე დანაშაული ძირითადად იმიტომ, რომ იგი არ საჭიროებს ძალის გამოყენებას ან მყისიერი ძალადობის მუქარას. ნაცვლად გაუპატიურების და სხვა სახის სექსუალური ძალადობის კონცეპტუალიზებისა, როგორც სხვა პირის მიმართ მისი თანხმობის გარეშე განხორციელებული ნებისმიერი სექსუალური აქტის, როგორც სტამბოლის კონვენციის *36*-ე მუხლის შესაბამისი სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედების, მოქმედი დეფინიციები და სასჯელთა განსხვავებული კატეგორიები ამყარებს მითს, რომ გაუპატიურება ყოველთვის ითვალისწინებს ფიზიკურ ძალადობას ან ძალადობის მუქარას. თუმცა, ხელისუფლების განცხადებით, ბოლო წლებში ტარდება კონტექსტზე დაფუძნებული გამოძიება, განსაკუთრებული აქცენტით იმ გარემოებებზე, რამაც შესაძლოა მინიმუმამდე დაიყვანოს მსხვერპლის თავისუფალი ნება.
>
> *257.* გარდა ამისა *[ასეთი რეგულირება]* აძლიერებს გაუპატიურების მსხვერპლთა იერარქიის ცნებას, სადაც ერთი სახის გარემოებების ერთობლიობამ, როგორიცაა ქონების დაზიანების მუქარა ან ცილისმწამებლური ან პირადი ინფორმაციის გამჟღავნება ან მოძალადეზე დამოკიდებულების ექსპლოატაცია, შეიძლება გამოიწვიოს გაცილებით უფრო დაბალი სასჯელი, ან უბრალოდ ჯარიმა, ვიდრე სხვა გარემოებებმა, მაგალითად, ფიზიკური დაზიანების მუქარამ. გრევიო მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მსხვერპლი არცერთ ამ ვითარებაში არ არის თანახმა ქმედებაზე, რაზეც უნდა იყოს დამოკიდებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. როდესაც ქმედების გარემოებები განსაკუთრებულად ძალადობრივი, დამამცირებელი და ტრავმულია, სტამბოლის კონვენციის *46*-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, დამამძიმებელი გარემოებები უნდა გამოიყენებოდეს ქმედების სიმძიმის შესაბამისი სანქციის უზრუნველსაყოფად. ამიტომ, გაუპატიურების თანხმობაზე დაფუძნებულ დეფინიციაზე გადასვლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.[43]

სტამბოლის კონვენცია, როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფოებისგან მოითხოვს, მოახდინონ სხვა ადამიანის იძულების კრიმინალიზაცია, თანხმობის გარეშე, მესამე პირთან დაამყაროს სექსუალური ხასიათის აქტები.[44] გრევიო განმარტავს, რომ ეს დანაშაული „მოიცავს შემთხვევებს, როდესაც მოძალადე არის არა პირი, ვინც უშუალოდ სჩადის სექსუალური ხასიათის ქმედებას, არამედ ის, ვინც აიძულებს მსხვერპლს ჩაერთოს მესამე პირთან სექსუალური ხასიათის ქმედებაში. ასევე, იყენებს სხვადასხვა საშუალებებს, მათ შორის, ინტიმური

- 8 წლამდე; იძულება - 5 წლამდე. უზბეკეთში, გაუპატიურება - 7 წლამდე; იძულება - საზოგადოებისთვის სასარგებლო სავალდებულო შრომით 300 საათამდე, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე. ყაზახეთში, გაუპატიურება - 8 წლამდე; იძულება - 3 წლამდე.

41 გრევიო, „საბაზო შეფასების ანგარიში ესპანეთისთვის“, (მიღებულია 2020 წლის 15 ოქტომბერს), ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-s-report-on-spain/1680a08a9f

42 იქვე. პარა. 220.

43 გრევიო, „საბაზო შეფასების ანგარიში საქართველოსთვის“, (მიღებულია 2022 წლის 13 ოქტომბერს), ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-report-on-georgia-2022/1680a917aa, გვ. 51.

44 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 36, პარა. 1(გ).

Photo by Ehimetalor Akhere Unuabona

პარტნიორის მიმართ კონტროლსა და არასათანადო მოპყრობას".[45] გრევიო ასევე განმარტავს, რომ ამ დანაშაულთან მიმართებით, სისხლისსამართლებრივი განზრახვის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე დანაშაულში დახმარების ან წაქეზების შემთხვევებში: „ეს არ მოიცავს მხოლოდ დანაშაულის ჩადენაში დახმარების განზრახვას, მაგალითად, გაუპატიურებისა და გაუპატიურების განზრახვას, როგორც ასეთი, არამედ, ვრცელდება ორივეს გამოწვევის განზრახვაზეც. სხვა სიტყვებით, ეს არის 36-ე მუხლის პირველი პარაგრაფის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული განზრახი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს არა უბრალოდ დანაშაულის წაქეზებას ან ხელშეწყობას, არამედ, წარმოადგენს ქალის სექსუალური თვითგამორკვევის შელახვისკენ მიმართულ მართლსაწინააღმდეგო ქცევას".[46]

ზემოაღნიშნული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, **უკრაინის** სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იძულების დანაშაული (მუხლი 154) მოიაზრებს პირისთვის, ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე, *სხვა პირთან* სექსუალური ხასიათის ქმედების იძულებას. ამგვარი იძულების დამამძიმებელი ფორმები ფინანსური ან პროფესიული დამოკიდებულების არსებობის საფუძვლით არის კრიმინალიზებული (მუხლი 154(2)) და თან სდევს მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავების ქონების განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის მუქარა, ან მისი ან მისი ახლო ნათესავების ღირსების შემლახველი ინფორმაციის გამჟღავნების მუქარა (მუხლი 154(3)). თუმცა, იძულება კვლავ გაუპატიურებასა თუ სექსუალურ ძალადობაზე უფრო ნაკლებად სერიოზულ დანაშაულად კვალიფიცირდება (5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე გაუპატიურებისთვის, ხოლო 6 თვემდე ვადით თავისუფლების აღკვეთა იძულების შემთხვევაში).

45 გრევიო, „საბაზო შეფასების ანგარიში საქართველოსთვის", (მიღებულია 2022 წლის 13 ოქტომბერს), ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-report-on-georgia-2022/1680a917aa, პარა. 259.
46 იქვე.

საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის და **უზბეკეთის** სისხლის სამართლის კოდექსებში არ არსებობს დებულებები, რომლებიც ახდენენ „სხვა ადამიანის იძულების კრიმინალიზაციას, მისი თანხმობის გარეშე, მესამე პირთან განახორციელოს სექსუალური ხასიათის აქტები“, როგორც ეს სტამბოლის კონვენციით არის გათვალისწინებული. ამ ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსების, ზემოთ გამოკვლეული იძულების მუხლები ამ კონკრეტული ქცევის კრიმინალიზაციას არ ისახავს მიზნად.

მეუღლისა და ინტიმური პარტნიორის გაუპატიურება

მიუხედავად იმისა, რომ **საქართველოში, ყაზახეთში, ყირგიზეთსა** და **უზბეკეთში** ამჟამინდელი ან ყოფილი მეუღლისა თუ პარტნიორის გაუპატიურების ცალსახა კრიმინალიზაცია არ მომხდარა (თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა ოჯახის წევრის გაუპატიურებას დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ გაუპატიურებად განიხილავს[47]), გაუპატიურების დანაშაულის ზოგადი დებულებები მსხვერპლსა და მოძალადეს შორის არსებული ურთიერთობის მიუხედავად მოქმედებს.

უკრაინაში, დამამძიმებელ გარემოებად, გაზრდილ სასჯელთან ერთად, განსაზღვრულია გაუპატიურება და სექსუალური ძალადობა მეუღლის, ყოფილი მეუღლის ან სხვა პირის მიმართ, რომელთანაც დამნაშავე არის ან იმყოფებოდა ოჯახურ ან ახლო ურთიერთობაში.[48]

საქართველოში, სისხლის სამართლის კოდექსის 531 მუხლით, დანაშაულის ოჯახის რომელიმე წევრის[49] მიმართ ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა ყველა დანაშაულის, მათ შორის, სექსუალური ძალადობისთვის. გაუპატიურების კიდევ ერთი დამამძიმებელი გარემოებაა, როდესაც ის არის „ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით“.[50]

უზბეკეთში, ახლო ნათესავის მიერ ჩადენილი გაუპატიურება გაუპატიურების დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა.[51] თუმცა იგულისხმება სისხლით ახლო ნათესავი და არა მეუღლე ან ინტიმური პარტნიორი.

ყაზახეთში, სისხლის სამართლის კოდექსის 120 (3-2(3)) მუხლი კონკრეტულად არასრულწლოვანთა გაუპატიურების ისეთი შემთხვევების კრიმინალიზაციას ახდენს, რომლებიც ჩადენილია მშობლის/მამინაცვლის ან ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი სხვა პირის მიერ. ასევე, კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის მეშვიდე პუნქტის მიხედვით, დამამძიმებელი გარემოებაა დანაშაულის ჩადენა დამნაშავეზე დამოკიდებული პირის მიმართ.

საერთაშორისო სტანდარტებით რეკომენდებულია ურთიერთობაში ჩადენილი სექსუალური ძალადობის კრიმინალიზაცია რომელიმე შემდეგი გზით: „თუ უზრუნველყოფილი იქნება, რომ სექსუალური ძალადობის დებულებები იმოქმედებს მოძალადესა და მსხვერპლს შორის „ურთიერთობის ბუნების მიუხედავად“; ან დეკლარირებით, რომ „კანონმდებლობის მიხედვით ქორწინება ან სხვაგვარი ურთიერთობა არ წარმოადგენდეს დაცვის არგუმენტს სექსუალური ძალადობის ბრალდების მიმართ“.[52] სტამბოლის კონვენციის თანახმად, ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლის ან პარტნიორის მიმართ ჩადენილი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებად უნდა მიიჩნეოდეს (მუხლი 46.ა). დამამძიმებელი გარემოებების ამგვარი აღიარება ხელს შეუწყობს დანაშაულის უგულებელყოფის თავიდან აცილებას, ასევე იმას, რომ ქალის უსაფრთხოება არ დადგეს რისკის ქვეშ შესაბამის ურთიერთობაში.

47 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 137(3)(ე).
48 უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლები 152(2) და 153(2).
49 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1] მუხლის თანახმად, ოჯახის წევრად ითვლება: „დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას“.
50 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლები 138(3)(ბ) და 137 (4)(დ).
51 უზბეკეთის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 118.
52 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „გაეროს სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის კანონმდებლობის შესახებ“ (2012), ხელმისაწვდომია: https://www.unwomen.org/sites/default/files/Headquarters/Attachments/Sections/Library/Publications/2012/12/UNW_Legislation-Handbook%20pdf.pdf, გვ. 24.

(B) სექსუალური ძალადობის არსებულ განმარტებებთან დაკავშირებული გამოწვევები

სექსუალური ძალადობის არსებული განმარტებების პრობლემური ბუნების პარალელურად, გამომძიებელთა, პროკურორთა და მოსამართლეთა გადაჭარბებული ფორმალიზმი მართლმსაჯულებაზე მსხვერპლთა ხელმისაწვდომობას კიდევ უფრო მეტად აფერხებს.

„ძალადობის“ ძირითადად ფიზიკური ძალის გამოყენებად განმარტება

„ძალადობა“ ვიწროდ არის განმარტებული **საქართველოში, ყაზახეთში, ყირგიზეთსა** და **უზბეკეთში** არსებულ სქესობრივი დანაშაულის დებულებებში, რამდენადაც, მასში მხოლოდ ფიზიკური ძალის გამოყენება მოიაზრება და არ მოიცავს ფსიქოლოგიურ ან ეკონომიკურ ზიანს ან ნებისმიერი სხვა ფორმის ძალადობას.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ძალადობა ძირითადად ფიზიკური ძალის გამოყენებად განიმარტება. სასამართლოების მიერ ეს განიმარტება, როგორც მსხვერპლისთვის სახეში გარტყმა,[53] ასევე, სახეში წიხლების დარტყმა, დახრჩობის მცდელობა ხელებისა[54] და ქამრის გამოყენებით და სხეულის სხვადასხვა ადგილზე კბენა,[55] მსხვერპლისთვის თმის მოქაჩვა, დანის ტარის მსხვერპლისთვის თავში ჩარტყმა,[56] მუშტების დარტყმა, ლოყებზე კბენა და კისერში მოჭერა.[57] თუმცა, გაუპატიურების ჩადენის დასადასტურებლად, სასამართლოებმა, ფიზიკური ძალადობის ყველა ფორმა, შესაძლოა, არ მიიჩნიონ საკმარისად და მისაღებად და ზოგ შემთხვევაში სამართალდამცავ ორგანოს კონკრეტული სახის დაზიანებების მოძიება უწევს. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, რომელიც თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და გაუპატიურებას შეეხებოდა, მოსამართლემ საგანგებოდ მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლს „სხეულზე გარკვეული დაზიანებები ჰქონდა,... ეს არ იყო გაუპატიურებისთვის დამახასიათებელი დაზიანებები, რადგან გაუპატიურებისას დაზიანებები ჩვეულებრივ სასქესო ორგანოებისა და ქვედა კიდურების მიდამოებში ჩნდება“.[58] მეორე მხრივ, სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ამგვარი დაზიანებების არარსებობა მისთვის მისაღები იქნებოდა (რაც ნიშნავს, რომ, სასამართლოს აზრით, „ტიპური“ ფიზიკური დაზიანებების მტკიცებულება ყოველთვის არ არის სავალდებულო), თუმცა, მოსამართლე ვერ დარწმუნდა, რომ მსხვერპლმა ფიზიკურად გაუწია წინააღმდეგობა მოძალადეს, რამდენადაც, მოძალადის სხეულსა და მსხვერპლის ტანსაცმელზე ამის არანაირი კვალი არ აღინიშნებოდა. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ გაუპატიურებას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან, მოსამართლემ მიიჩნია, რომ სქესობრივი კავშირი მოტაცებულ არასრულწლოვანთან ნებაყოფლობით და თანხმობით დამყარდა და მსხვერპლი უმწეო მდგომარეობაში არ იმყოფებოდა.[59] ნაცვლად გაუპატიურებისა, გამამტყუნებელი განაჩენი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - სრულწლოვნის მიერ 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სექსუალური ხასიათის შეღწევის საფუძვლით დადგა.

საქართველოში ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ ევროპის საბჭოსა და სახალხო დამცველის ოფისის ერთობლივი ანგარიშის (2020) თანახმად, „სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების ორგანოები სექსუალური ძალადობის დასადასტურებლად მტკიცებულებებთან დაკავშირებით ზედმეტად მკაცრ მოთხოვნებს იყენებენ, რაც სექსუალური ძალადობის სხვადასხვა ფორმის დაუსჯელობას იწვევს. კერძოდ, ამგვარ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება და გამამტყუნებელი განაჩენების გამოტანა, ძირითადად, მხოლოდ იმ შემთხვევებში ხდება, როდესაც მსხვერპლის სხეულზე არსებობს ძალადობრივი სქესობრივი აქტისთვის

53 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 ივლისის განაჩენი, საქმე №1/475-20; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 იანვრის განაჩენი, საქმე №1/3245-21.
54 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 იანვრის განაჩენი, საქმე №1/3245-21.
55 თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/189-20.
56 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 23 აპრილის განაჩენი, საქმე №1/4912-20.
57 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 16 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/1894-21.
58 ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 22 აპრილის განაჩენი, საქმე №1/322-20.
59 ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 22 აპრილის განაჩენი, საქმე №1/322-20.

დამახასიათებელი ფიზიკური დაზიანებები და სქესობრივი აქტისთვის დამახასიათებელი ბიოლოგიური მასალა“.[60]

თუმცა, დღეს, არსებული ვითარების ფონზე, კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან, განსაკუთრებით, სტამბოლის კონვენციიდან მომდინარე ვალდებულებებთან დაახლოების მხრივ, საქართველო პროგრესს განიცდის.[61] განხილულ საქმეზე, სააპელაციო სასამართლომ შეცვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ მოტაცებული არასრულწლოვანი გოგონა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, გაუპატიურებას დაექვემდებარა. სასამართლომ დაადგინა, რომ ქმედების გაუპატიურებად კვალიფიკაციისთვის აუცილებელია პირის მიერ სხვა ადამიანის სხეულში მისი ნების საწინააღმდეგოდ სექსუალური ხასიათის შეღწევა. ამგვარი ნებელობის არარსებობა ავტომატურად გულისხმობს, რომ თანხმობა არ ყოფილა გაცემული, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ძალადობას ან ძალადობის მუქარას ჰქონდა ადგილი.[62]

უზბეკეთში, სისხლის სამართლის კოდექსში აღნუსხულ სქესობრივი დანაშაულის დებულებებში - 118-ე მუხლი („გაუპატიურება„), 119-ე მუხლი („სექსუალური მოთხოვნილების არაბუნებრივი ფორმით დაკმაყოფილება ძალადობის გამოყენებით“) და 121-ე მუხლი („ქალისთვის სქესობრივი კავშირის იძულება“) - ძალადობის განმარტებები უზენაესმა სასამართლომ დაადგინა.[63] დადგენილება განმარტავს, რომ „ძალადობა გაუპატიურების ან სექსუალური მოთხოვნილების არაბუნებრივი ფორმით დაკმაყოფილების დანაშაულის დროს უნდა იქნეს გაგებული, როგორც ისეთი ქმედებების ჩადენა, რომლებიც მიზნად ისახავს მსხვერპლის წინააღმდეგობის დაძლევას, მაგალითად, დარტყმა, სასუნთქი გზების შეკუმშვა, ხელების, ფეხების დაჭერა, ტანსაცმლის შემოხევა და ა.შ.“[64] უზენაესმა სასამართლომ ასევე განმარტა, რომ „ძალადობა... ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს სქესობრივ კავშირსა თუ არაბუნებრივი ფორმით სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აქტს და შესაძლოა განხორციელდეს არა მხოლოდ თავად მსხვერპლის, არამედ, მის ახლო ნათესავებისა და სხვა პირების წინააღმდეგაც, რომელთა მიმართ მსხვერპლს გარკვეული პასუხისმგებლობა აქვს“.[65] ძალადობა, უზენაესი სასამართლოს დადგენილებით, ანალოგიურად განიმარტა **ყაზახეთშიც**.[66]

ყირგიზეთში, ადგილობრივი ექსპერტები აცხადებენ, რომ სხვა იურისდიქციების მსგავსად, სამართალდამცავი ორგანოები მსხვერპლის მიმართ ფიზიკური ძალადობის გამოყენების დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებას ცდილობენ.

უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსში სქესობრივი დანაშაულის განმარტებები არ მოითხოვს ძალადობის გამოყენების მტკიცებულებას,

60 საქართველოს სახალხო დამცველი, ევროპის საბჭო, „ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში“ (დეკემბერი, 2020), ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2020121613551185316.pdf, გვ. 31. ასევე, ჩრდილოვან ანგარიშში CEDAW კომიტეტისთვის საქართველოს განხილვისას, ეროვნული და ადგილობრივი უფლებადამცველი ორგანიზაციები აცხადებდნენ, რომ „საქმეების დიდ უმრავლესობაში, სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება და მოძალადეები მსჯავრდებულნი ხდებიან მხოლოდ მსხვერპლის სხეულზე ფიზიკური დაზიანებების, ასევე, სექსუალური ხასიათის ქმედებასთან დაკავშირებული ბიოლოგიური მასალების აღმოჩენის შემთხვევაში. ამგვარი მიდგომა, კანონით გათვალისწინებული სექსუალური ძალადობის აქტების დიდ რაოდენობას (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-140-ე მუხლები) პრაქტიკაში დაუსჯელს ტოვებს, რადგან, ხელისუფლების ორგანოები იძიებენ სექსუალური ძალადობის მხოლოდ იმ დანაშაულებს, სადაც მოძალადემ ფიზიკური ძალა გამოიყენა, ხოლო მსხვერპლმა ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწია მას“, ინფორმაცია საქართველოს შესახებ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 81-ე სესიის წინა სასესიო სამუშაო ჯგუფზე განსახილველად (2021 წლის 5-9 ივლისი), (2021 წლის 7 ივნისი), ხელმისაწვდომია: https://equalitynow.storage.googleapis.com/wp-content/uploads/2021/10/18204235/Georgia-CEDAW-joint-submission-by-Equality-Now-partners.pdf, გვ. 4.

61 2021-2022 წლებში, „სახელმძღვანელოთი პრაქტიკოსებისთვის საქართველოში“ (№31), 400-ზე მეტმა გამომძიებელმა, პროკურორმა და მოსამართლემ გაიარა სწავლება სექსუალური ძალადობის თემაზე. შედეგად, 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, სექსუალური ძალადობის რეგისტრირებული დანაშაულების რაოდენობა 55%-ით გაიზარდა; 76%-ით გაიზარდა სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი; ხოლო 44%-ით გაიზარდა სექსუალური ძალადობის საქმეებზე გამამტყუნებელი განაჩენების რაოდენობა. 2022 წლის პირველ 6 თვეში, 2021 წლის პირველ 6 თვესთან შედარებით, გაუპატიურებაზე მსჯავრდებულთა რაოდენობა 49%-ით გაიზარდა.

62 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 17 მარტის განაჩენი, საქმე №1b/1112-21.

63 უზბეკეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 29 ოქტომბრის №13 დადგენილება „გაუპატიურებისა და არაბუნებრივი ფორმით სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

64 იქვე. პარა. 3.

65 იქვე. პარა. 5.

66 ყაზახეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 11 მაისის №4 დადგენილება „გაუპატიურებასთან და სექსუალური ხასიათის სხვა ძალადობრივ ქმედებებთან დაკავშირებული დანაშაულების კვალიფიკაციის გარკვეული საკითხების შესახებ“, პარა. 3.

არამედ, სექსუალური ხასიათის ქმედებების მსხვერპლის ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე ჩადენის მტკიცებას ეყრდნობა. უკრაინის უზენაესმა სასამართლომ საგანგებოდ აღნიშნა, რომ ძალადობის გამოყენება, როგორც გაუპატიურების ჩადენის საშუალება, გაუპატიურების ახალი განმარტებიდან არ გამოირიცხება, თუმცა აღარ არის გადამწყვეტი, ან თუნდაც აუცილებელი ფაქტორი: „გაუპატიურების დროს ძალადობა თავისთავად მიზანი არ არის, არამედ, მას აქვს დამხმარე ბუნება მოძალადის განზრახვის განსაზღვრისას, … დანაშაულის ფორმირებისთვის გადამწყვეტი ფაქტორი გაუპატიურებაზე პასუხისმგებლობის დაკისრებისას არის მოძალადის ქმედებებზე მსხვერპლის ნებაყოფლობითი თანხმობის არარსებობა“.[67] სასამართლომ დაადგინა, რომ ფიზიკურმა ძალადობამ, მუქარამ, იძულებამ თუ სხვაგვარმა ექსპლოატაციამ მსხვერპლი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩააგდო, რამაც იგი აიძულა, თავისუფალი ნების საწინააღმდეგოდ თანხმობა განეცხადებინა.[68]

„ძალადობის მუქარის“ შეზღუდული განმარტება

საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის და **უზბეკეთის** სისხლის სამართლის კოდექსების მიხედვით, „ძალადობის მუქარა“ ასევე განიხილება სქესობრივი დანაშაულების შემადგენელ ელემენტად. „მუქარის“ განმარტება, პრაქტიკაში, სიცოცხლის მოსპობის ან სხეულის სერიოზული დაზიანების მუქარით შემოიფარგლება. შანტაჟი და ფსიქოლოგიური ძალადობის სხვა ფორმები, როგორც გაუპატიურების ჩადენის საშუალებები, სისხლისსამართლებრივ დევნას, დიდი ალბათობით, იძულების მუხლით დაექვემდებარება.

საქართველოში „მუქარა“, ძირითადად, სიცოცხლის მოსპობის ან სხეულის დაზიანების მუქარად განიმარტება.[69] ჯგუფური ძალადობისა და გაუპატიურების მუქარა ასევე მიჩნეულია გაუპატიურების ჩადენის ხერხებად.[70] თუ მოძალადე მუქარის სხვაგვარ ფორმებს იყენებს, მაგალითად, როგორიცაა, ქონებრივი დაზიანების, სახელის გამტეხი ინფორმაციის, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან ისეთი ცნობის გახმაურების მუქარა, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მსხვერპლის უფლებები, საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც წესი, სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლით გათვალისწინებული იძულების საფუძვლით ხორციელდება.

უზბეკეთში მუქარა განიმარტება, როგორც „წინააღმდეგობის გაწევის შეწყვეტის მიზნით მსხვერპლის *დაშინება* იმგვარი ქმედებებითა თუ განცხადებებით, რომლებიც მოძალადის მხრიდან *ფიზიკური ძალადობის გამოყენების რეალურ განზრახვას* გამოხატავს“.[71] უზენაესი სასამართლოს დაზუსტებით, „მუქარა სქესობრივ კავშირს ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს“.[72] თუმცა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „როდესაც სიცოცხლის მოსპობის, ძალადობის გამოყენებისა თუ საკუთრების ცეცხლის წაკიდების გზით, აფეთქების, ან სხვა ზოგადად საშიში საშუალებით განადგურების მუქარა გაუპატიურების ან არაბუნებრივი ფორმით სქესობრივი კავშირის შემდეგ განხორციელდა, რომლის მიზანიც, მაგალითად, მსხვერპლის დაშინება და ინციდენტის გასაჯაროების თავიდან აცილებაა, *და ასევე,* თუკი მუქარის განხორციელების გონივრული საფუძველი არსებობს, *წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების ერთობლიობას,* მაგალითად, 112-ე მუხლი („სიცოცხლის მოსპობის ან ძალადობის მუქარა“) და 118-ე („გაუპატიურება“) ან 119-ე („სექსუალური ხასიათის ძალადობა“) მუხლის შესაბამისი ნაწილი“.[73] მუქარის ანალოგიურ განმარტებას გვთავაზობს **ყაზახეთის** უზენაესი სასამართლოს დადგენილებაც.[74]

67 უკრაინის უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება, მიღებული სისხლის სამართლის საკასაციო სასამართლოს მესამე სასამართლო პალატის მოსამართლეთა კოლეგიის მიერ, საქმე №562/1629/17.

68 უკრაინის უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება, მიღებული სისხლის სამართლის საკასაციო სასამართლოს მესამე სასამართლო პალატის მოსამართლეთა კოლეგიის მიერ, საქმე №566/1420/19.

69 თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/189-20; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 23 აპრილის განაჩენი, საქმე №1/4912-20; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 ივლისის განაჩენი, საქმე №1/475-20; სენაკის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 28 ივნისის განაჩენი, საქმე №1/57; გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 26 ნოემბრის განაჩენი, საქმე №1/142-2021.

70 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 16 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/1894-21.

71 უზბეკეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 29 ოქტომბრის №13 დადგენილება „გაუპატიურებისა და არაბუნებრივი ფორმით სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, პარა. 4.

72 იქვე. პარა. 5.

73 იქვე.

74 ყაზახეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 11 მაისის №4 დადგენილება, პარა. 4.

ყირგიზეთში გაუპატიურების განმარტება განასხვავებს მუქარის სხვადასხვა ფორმას, რომლებსაც მოძალადემ შეიძლება გაუპატიურების ჩასადენად მიმართოს. შესაბამისად, თუ მოძალადე მსხვერპლს იმგვარი ძალადობის გამოყენებით ემუქრება, რომელიც მსხვერპლის ან სხვა პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში არ არის, გაუპატიურების საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (გაუპატიურება დამამძიმებელი გარემოებების გარეშე) განხორციელდება. თუ მოძალადე მსხვერპლის მიმართ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის მუქარას იყენებს, გაუპატიურების საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა 154-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 ქვეპუნქტით (გაუპატიურება დამამძიმებელ გარემოებებში) მოხდება.

„მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენების“ დებულებები უგულებელყოფს ბევრ სხვა მიზეზს, რომელთა გამოც მსხვერპლს არ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა

მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენება გაუპატიურების კიდევ ერთი შემადგენელი ელემენტია **საქართველოში, ყაზახეთში, ყირგიზეთსა** და **უზბეკეთში.**

უზბეკეთის სასამართლო პრაქტიკაში უმწეო მდგომარეობა განისაზღვრება, როგორც „მსხვერპლის იმგვარი ფიზიოლოგიური, ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობა (შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობები, ფსიქიკური აშლილობა, მცირე ასაკი ან ხანდაზმულობა, ავადმყოფობა თუ უგონო მდგომარეობა, მძიმე ინტოქსიკაცია ალკოჰოლის, ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ), რომლის გამოც მან ვერ შეძლო თავის დაცვა, მოძალადისთვის აქტიური წინააღმდეგობის გაწევა, ვერ აცნობიერებდა მის მიმართ განხორციელებული ქმედებების ბუნებასა და მნიშვნელობას, ან არ ჰქონდა საკუთარი ქმედებების კონტროლის უნარი. ამავდროულად, მოძალადეს წინასწარ უნდა ჰქონდეს შეცნობილი, რომ მსხვერპლი უმწეო მდგომარეობაში იმყოფება“.[75]

ანალოგიურ განმარტებას იძლევა **ყაზახეთის** სასამართლო პრაქტიკა.[76] თუმცა, ასევე აზუსტებს, რომ უმწეო მდგომარეობის მნიშვნელობისთვის „ადრეული ასაკი“ 14 წელს მიუღწეველ ასაკს გულისხმობს.[77]

ყირგიზეთში, გაუპატიურების მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის მნიშვნელობასთან თუ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით კონკრეტული დაზუსტებები არ გვხვდება. თუმცა, ადგილობრივი ექსპერტი განმარტავს, რომ სექსუალური ძალადობის საქმეებში 11 წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვნები, ჩვეულებრივ, უმწეო მდგომარეობაში მყოფებად მიიჩნევიან.

საქართველოში, უმწეო მდგომარეობის ცნება გამოიყენება იმ პირებთან მიმართებით, რომლებსაც ფიზიკურად არ აქვთ შესაძლებლობა, გასცენ თანხმობა, ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო სიტუაციის გაცნობიერება არ შეუძლიათ.[78] უმწეობა განისაზღვრება მდგომარეობად, რომელშიც სხვადასხვა ფაქტორი (ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა, ალკოჰოლური ან ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა და ა.შ.) მსხვერპლს მის მიმართ ჩადენილი ქმედებების მნიშვნელობის გააზრებაში უშლის ხელს და მისი მხრიდან მოძალადისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას ამცირებს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ გაუპატიურების ჩადენა ასევე შეიძლება მიიჩნეოდეს უმწეო მდგომარეობის გამოყენებით გაუპატიურებად.[79] სასამართლო

75 უზბეკეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 29 ოქტომბრის №13 დადგენილება „გაუპატიურებისა და არაბუნებრივი ფორმით სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, პარა. 6.
76 იქვე. პარა. 5.
77 იქვე.
78 'სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისთვის საქართველოში' (No. 31), გვ. 11
79 მაგალითისთვის, სენაკის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე No. 1/57 და გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე No. N1/142-2021. ადგილობრივმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა შემთხვევა, სადაც 16 წლის ასაკს მიუღწეველი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის (აუტისტური სპექტრის აშლილობა) მიმართ გარყვნილი ქმედება ჩადენილი იყო არა აშკარა ძალადობის ან ფიზიკური იძულების გარეშე, არამედ, არასრულწლოვანისთვის რაიმეს ყიდვის დაპირებით და მისი დარწმუნებით, რომ მომხდარის შესახებ არაფერი ეთქვა. საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 138-ე მუხლით (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება), თუმცა, სასამართლომ ქმედება სსკ-ის 141-ე მუხლზე (გარყვნილი ქმედება) გადააკვალიფიცირა აშკარა ფიზიკური ძალადობის, ფსიქიკური იძულების ან ძალადობის მუქარის არარსებობის საფუძვლით. მოსამართლემ გამოიყენა კანონის შეზღუდული

პრაქტიკაში, უმწეო მდგომარეობის გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდებოდა არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ გაუპატიურების საქმეებზე, სადაც ბავშვები უმწეო მდგომარეობაში მყოფებად თავიანთი ასაკის გამო იყვნენ მიჩნეულები (მაგალითად, როდესაც მსხვერპლები 6, 8[80] და 4 წლის[81] ასაკისანი იყვნენ). ბოლო პერიოდამდე, მოზარდი ბავშვები არ ითვლებოდნენ უმწეო მდგომარეობაში მყოფებად სექსუალური ხასიათის იმგვარი ქმედებების მიზნებისთვის, რომლებიც ფიზიკური ძალის ან მუქარის ელემენტებს არ შეიცავდა. ამის ნაცვლად, ამ სახის სექსუალურ ძალადობაზე სისხლისსამართლებრივი დევნა გარყვნილი ქმედების დანაშაულის ფარგლებში მიმდინარეობდა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლი) და უფრო ნაკლებად სერიოზულ დანაშაულად მიიჩნეოდა. ამასთანავე, ეს ტენდენცია იცვლება და გაზრდილია საქმეების რაოდენობა, სადაც ამგვარი ქმედებები 138-ე მუხლით (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება) დაკვალიფიცირდა. თუმცა უმწეო მდგომარეობის ფართო გაგება ჯერ კიდევ არ არის დამკვიდრებული და ნების დამთრგუნველ გარემოებებში ჩადენილი გაუპატიურება მეტწილად დაუსჯელი რჩება, ანდა უფრო ნაკლებად მძიმე დანაშაულად განიხილება.

განსახილველ ქვეყნებში, გარდა ყაზახეთისა, არ არსებობს კონკრეტული მითითება გარკვეული ასაკის შესახებ, რომლის ქვემოთ გაუპატიურების შემთხვევაშიც არასრულწლოვანი უმწეო მდგომარეობაში მყოფად მიიჩნევა. თუმცა, **უზბეკეთისა** და **ყაზახეთის** სასამართლო პრაქტიკის გაგებით, უმწეობა არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანს, მათ შორის, არასრულწლოვანს, არ შეუძლია საკუთარი თავის დაცვა ან მოძალადისთვის აქტიური წინააღმდეგობის გაწევა, ან ვერ აცნობიერებს მის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებების ბუნებასა და მნიშვნელობას, ან არ აქვს საკუთარი ქმედებების კონტროლის უნარი.

უკრაინაში, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ დანაშაულის ჩადენა, უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, დამამძიმებელ გარემოებად ითვლება. „უმწეო მდგომარეობის“ ზოგადი გაგება, შეიძლება ითქვას, რომ უპირველესად შემდეგ ფაქტორებს ეფუძნება: ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა, მძიმე ინტოქსიკაცია, უგონო მდგომარეობა.

უკრაინაში მოქმედ თანხმობაზე დაფუძნებული გაუპატიურების განმარტებასთან დაკავშირებული გამოწვევები

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინას დამკვიდრებული აქვს გაუპატიურების თანხმობაზე დაფუძნებული განმარტება, ქალთა უფლებადამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოთქვეს შეშფოთება, რომ „როგორც ჩანს, სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს არ აქვთ ადეკვატური წვდომა მართლმსაჯულებაზე, ვინაიდან, [უკრაინაში] არ შეცვლილა მიდგომები სექსუალური ძალადობის საქმეების განხილვასთან მიმართებით“.[82] ადგილობრივი ექსპერტები[83] ყურადღებას ამახვილებენ თანხმობაზე დაფუძნებული განმარტების არასათანადო გაგებასა და სისხლის სამართლის საქმეებში სამართალდამცავი ორგანოების მიერ და ფართო საზოგადოებაში მის არაეფექტიან პრაქტიკულ გამოყენებაზე. უზენაესმა სასამართლომ საგანგებოდ აღნიშნა, რომ „მსხვერპლის ალკოჰოლური ან სხვაგვარი ინტოქსიკაციის მდგომარეობა; მისი ქცევა ინციდენტამდე; მისი მხრიდან პირადი უსაფრთხოების ზომების მიუღებლობა; მსხვერპლის მორალური ხასიათი და ცხოვრების წესი; მსხვერპლის ამორალური თუ სხვაგვარი ტაქტილური ქცევა, რამაც, შესაძლოა, თავისთავად გამოიწვიოს მოძალადის სექსუალური ხასიათის ქცევა, მსხვერპლის მიმართ სექსუალური ხასიათის ქმედებების შემდგომი ჩადენის შეჩერების მიზნით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ

ინტერპრეტაცია და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები, სულ მცირე, არასრულწლოვანის მოწყვლადობასა ან ფსიქოლოგიურ ძალადობაზე მიუთითებდა, რაც, შესაძლოა, სსკ-ის 138-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს წარმოადგენდეს (საქართველოს სახალხო დამცველი, ევროპის საბჭო, 'ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში' (2020 წლის დეკემბერი)), ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2020121613551185316.pdf; თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი No. 1/2215-19

80 გორის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 3 დეკემბრის განაჩენი, საქმე No. N1/347-21

81 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 16 ივლისის განაჩენი, საქმე No. 1/2734-21

82 ინფორმაცია უკრაინის შესახებ CEDAW კომიტეტის 77-ე სესიის წინა სასესიო სამუშაო ჯგუფში განსახილველად „უკრაინის შესაბამისობა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციასთან, შემოთავაზებული საკითხების ჩამონათვალი ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ მოხსენებამდე“ (2020 წლის 3 თებერვალი), ხელმისაწვდომია: https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=INT%2fCEDAW%2fICS%2fUKR%2f41385&Lang=en, გვ. 9.

83 უკრაინელი იურისტების - იულია პრისტაშისა და ალინა ფედკოვიჩის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

გამორიცხავს“.[84] ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება ზოგიერთ ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიდგომას, რომლებიც, როგორც ჩანს, განაგრძობენ მსხვერპლის თანხმობის კონცეფციასთან ბრძოლას და მსხვერპლთა ქცევასთან მიმართებით სტერეოტიპული მოლოდინები აქვთ. მაგალითები მოიცავს ისეთ განმარტებებს, როგორებიცაა - „იგი ნებაყოფლობით მივიდა მისთვის უცნობ კაცებთან სახლში ალკოჰოლის მიღების მიზნით, შვილთან მობილურ ტელეფონზე კომუნიკაციის დროს მისთვის დასახმარებლად არ მიუმართავს“[85], ან რომ მსხვერპლი „დამოუკიდებლად, ნებაყოფლობით ჩაჯდა მანქანაში … [ისინი] ერთმანეთს კოცნიდნენ საზაფხულო სახლში … სხეულის დაზიანების ობიექტური ნიშნები არ იქნა აღმოჩენილი … რაიმე ფორმით წინააღმდეგობის გაწევას არ ცდილობდა“.[86]

84 უკრაინის უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება, მიღებული სისხლის სამართლის საკასაციო სასამართლოს მესამე სასამართლო პალატის მოსამართლეთა კოლეგიის მიერ, საქმე №566/1420/19. ასევე, უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მსხვერპლის პიროვნებისა და ქცევის ანალიზი და შეფასება არ შედის იმ გარემოებათა ჩამონათვალში, რომლებიც უნდა დადგინდეს და დადასტურდეს სისხლის სამართლის პროცესში, განსხვავებით ბრალდებულის მახასიათებლებისა და გარემოებებისა (მუხლი 91). ამასთანავე, პროცედურულად შესაძლებელია, ნებისმიერი დანაშაულის შემთხვევაში გამოკვლეულ იქნეს მტკიცებულებები მსხვერპლის ქცევის შესახებ დანაშაულამდე და დანაშაულის დროს, „დანაშაულის სხვა გარემოებების“ ფარგლებში (უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 91(1)).

85 ხარკოვის ჟოვტნევის სასამართლოს 2021 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №639/1392/20.

86 ხმელინცკის რეგიონული სასამართლოს 2021 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე №149/2435/20.

III. ევრაზიის ქვეყნებში სექსუალური ძალადობის განმარტებების საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგება



პირველი ქვეთავი განიხილავს, თუ როგორ უნდა შეიცვალოს არსებული კანონმდებლობა, ადამიანის უფლებათა რეგიონულ და საერთაშორისო სტანდარტებთან მისასადაგებლად. მეორე ქვეთავი განიხილავს, საკანონმდებლო ცვლილებების არარსებობის შემთხვევაში, როგორ არის შესაძლებელი არსებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია მსხვერპლთა მართლმსაჯულებაზე უკეთესი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

Photo by Radist

1. კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეცვლის აუცილებლობა - როგორი ფორმით უნდა მოხდეს ეს

სექსუალური ძალადობის თანხმობაზე დაფუძნებული განმარტების დანერგვა

საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის და **უზბეკეთის** სექსუალური ძალადობის მიმოხილული დებულებები წინააღმდეგობაშია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებთან, რამდენადაც, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულების ელემენტები უგულებელყოფენ ან არ აღიარებენ მსხვერპლთა სხეულებრივ ავტონომიასა თუ სექსუალურ ხელშეუხებლობას და სათანადოდ არ იცავენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს. უფრო კონკრეტულად, დაზარალებულის მხრიდან თანხმობის არარსებობა არ განიხილება დანაშაულის შემადგენელ ელემენტად, მიუხედავად იმისა, რომ იგი რეგიონული და საერთაშორისო სტანდარტებით პირდაპირ არის მოთხოვნილი. ნაცვლად ამისა, დანაშაულები ეფუძნება ფიზიკური ძალადობის, ძალადობის მუქარის ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენებას. ასევე, იძულების დანაშაული, რომელიც რეგიონული და საერთაშორისო სტანდარტებით გაუპატიურებას უტოლდება, საქართველოში, ყაზახეთში, ყირგიზეთსა და უზბეკეთში ნაკლებად მძიმე დანაშაულად კვალიფიცირდება და უფრო მცირე სასჯელებს ითვალისწინებს.

სხვა ადამიანის მისი თანხმობის გარეშე მესამე პირთან სექსუალური ხასიათის ქმედებაში ჩაბმის ცალსახა კრიმინალიზაცია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, სტამბოლის კონვენციის მოთხოვნის შესაბამისად (მუხლი 36.1.გ),[87] უნდა მოხდეს სხვა ადამიანის იძულების კრიმინალიზაცია, მისი თანხმობის გარეშე, მესამე პირთან დაამყაროს სექსუალური ხასიათის აქტები. ანალოგიური ცვლილება უნდა აისახოს ყაზახეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის სისხლის სამართლის კოდექსებშიც. ეს მუხლი უნდა მოიცავდეს შემთხვევებს, როდესაც მოძალადე არის არა პირი, ვინც უშუალოდ სექსუალური ხასიათის ქმედებას ჩადის, არამედ, ვინც რთავს მსხვერპლს მესამე პირთან სექსუალური ხასიათის ქმედებაში, ასევე, იყენებს სხვადასხვა საშუალებას, მათ შორის, ინტიმური პარტნიორის მიმართ კონტროლსა და არასათანადო მოპყრობას.[88]

ადამიანის თავისუფალი ნება გარემომცველი პირობების კონტექსტში უნდა შეფასდეს

სექსუალური ძალადობის დებულებები არ მოიცავს მსხვერპლის ნების დამთრგუნველი იმგვარი გარემოებების ფართო სპექტრს, რომლებმაც, შესაძლოა, მსხვერპლს თანხმობის გამოხატვის შესაძლებლობა წაართვას, მაგალითად, როგორებიცაა ნდობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და მსხვერპლის დამოკიდებულება მოძალადეზე.[89] ეს ელემენტები გარკვეულწილად ინტეგრირებულია სექსუალური ხასიათის ქმედებების იძულების დებულებებში, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, გაუპატიურებაზე ნაკლებად მძიმე დანაშაულად მიიჩნევა. თუმცა, როგორც რეგიონულ და საერთაშორისო სტანდარტებში, ისე გაეროს ქალთა ორგანიზაციის სახელმძღვანელო რეკომენდაციებსა და საერთაშორისო პრეცედენტულ სამართალში,[90] საგანგებოდ მიეთითება, რომ გაუპატიურების განმარტება უნდა ეფუძნებოდეს თანხმობის არარსებობას, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, გარემოებების ფართო სპექტრის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს იმის გასარკვევად, იყო თუ არა გამოხატული თანხმობა ნამდვილი. სავარაუდო იძულების/ძალაუფლების არასათანადოდ გამოყენების მაგალითები მოიცავს ისეთ გარემოს, როგორებიცაა გამოსასწორებელი დაწესებულება ან სკოლა, სადაც პირი ავტორიტეტულ პოზიციაშია სხვასთან მიმართებით; სადაც პირს მსხვერპლთან გარკვეული პროფესიული ურთიერთობა აქვს, მაგალითად, ექიმის ურთიერთობა პაციენტთან; როდესაც დაშინების ან მოტყუების გამო გარემოებები ნების დამთრგუნველია.[91]

87 გრევიო, „საბაზო შეფასების ანგარიში საქართველოსთვის“, (მიღებულია 2022 წლის 13 ოქტომბერს), ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-report-on-georgia-2022/1680a917aa, პარა. 259.

88 იქვე.

89 „თანასწორობა ახლა“, „დაბრკოლებები მართლმსაჯულებაში: რატომ ვერ იცავს ევრაზიის ქვეყნების კანონმდებლობა სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს“ (2019), ხელმისაწვდომია: https://d3n8a8pro7vhmx.cloudfront.net/equalitynow/pages/1581/attachments/original/1547485403/EN-Eurasia_Rpt_ENG_-_Web.pdf?1547485403, გვ. 14. ასევე, „ჰააგის პრინციპები სექსუალური ძალადობის შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://4genderjustice.org/ftp-files/publications/The-Hague-Principles-on-Sexual-Violence_Ge.pdf

90 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „ცოდნის ვირტუალური ცენტრი ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის დასასრულებლად“, „კანონმდებლობის“ სექცია, ხელმისაწვდომია: https://www.endvawnow.org/en/modules/view/8-legislation.html

91 „ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობის შემუშავება“, (2011 წლის მაისი), ხელმისაწვდომია: https://www.

„უმწეო მდგომარეობა“ უნდა მოიცავდეს ბევრ სხვა მიზეზს, რომელთა გამო მსხვერპლმა, შესაძლოა, ვერ გასწია წინააღმდეგობა

საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის სქესობრივი დანაშაულების დებულებებში „მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენებად“ მიიჩნევა „მდგომარეობა, რომელიც ხელს უშლის მსხვერპლს იმ ქმედებების არსის გააზრებაში, რომლებიც მის მიმართ ხორციელდება, ან წინააღმდეგობის გაწევაში სხვადასხვა მიზეზით, როგორებიცაა, მაგალითად, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები, ალკოჰოლის ან ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა და ა.შ. მსხვერპლის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის არარსებობა, თუ ეს არ არის დაკავშირებული „უმწეობის“ ტრადიციულ გაგებასთან, ნიშნავს, რომ დანაშაული, პრაქტიკაში, შესაძლოა, გაუპატიურებად არ ჩაითვალოს“.[92] შესაბამისად, ეს დებულებები, საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით, მსხვერპლს მოძალადისთვის წინააღმდეგობის გაწევას ავალდებულებს იმის მიუხედავად, აქვს თუ არა მას ამის შესაძლებლობა, მაგალითად, შიშის ფონზე პარალიზების შედეგად, ან იმ განცდის პირობებში, რომ თავდაცვის მცდელობის შემთხვევაში მეტი ზიანი მიადგება მას. მსხვერპლისთვის წინააღმდეგობის გაწევის მოთხოვნა უგულებელყოფს სექსუალურ ძალადობასთან გამკლავების განსხვავებულ გზებს.[93]

დამატებითი ძალის ან ძალადობის მტკიცებულება არ უნდა მოითხოვებოდეს

გაუპატიურების დასადასტურებლად დამატებით ძალადობის მოთხოვნა, რომელიც, ვიწროდ, ფიზიკურ ძალადობად განიმარტება, განსახილველ ქვეყნებში ზღუდავს გაუპატიურების მსხვერპლთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას. დამატებით ფიზიკურ ძალადობაზე ფოკუსირება სექსუალური ძალადობის ფაქტების დიდ ნაწილს დაუსჯელს ტოვებს. სექსუალური ხასიათის დანაშაულებში ხშირად არ მოიპოვება ამგვარი ფიზიკური დაზიანების დამადასტურებელი მტკიცებულებები. გაეროს ქალთა ორგანიზაციის სახელმძღვანელო რეკომენდაციები ნათლად

მიუთითებს, რომ გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის კანონმდებლობა დამატებითი ძალის გამოყენების მტკიცებულებებს არ უნდა ითხოვდეს, რამდენადაც, გაუპატიურება, თავისი არსით, ძალადობრივი ქმედებაა. ამის ნაცვლად და სტამბოლის კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად,[94] დამატებითი ძალადობის გამოყენება დამამძიმებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს.

უკრაინის პროგრესული კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულების უზრუნველყოფა

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინამ, საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, გაუპატიურების თანხმობაზე დაფუძნებული განმარტება შემოიღო, ზოგიერთ ქვედა ინსტანციის სასამართლოს უჭირს მსხვერპლის თანხმობის კონცეფციის გააზრება და მსხვერპლის ქცევას გენდერული სტერეოტიპების გავლენით აფასებს. ადგილობრივი ექსპერტები საგანგებოდ მიუთითებენ, რომ ადგილობრივი ორგანოები ეწინააღმდეგებიან გაუპატიურების თანხმობაზე დაფუძნებული განმარტების დამკვიდრებას, განსაკუთრებით, იმ საქმეებში, რომლებშიც მტკიცებულებებად მხოლოდ მსხვერპლისა და ბრალდებული პირის ჩვენებებია. თუკი მსხვერპლი გაუპატიურებიდან გარკვეული დროის შემდეგ აცხადებს მომხდარის შესახებ პოლიციაში, სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება

endvawnow.org/uploads/modules/pdf/1355776748.pdf, გვ. 94.

92 „თანასწორობა ახლა“, „დაბრკოლებები მართლმსაჯულებაში“ (№89), გვ. 14.

93 „სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისთვის საქართველოში“ (№31), გვ. 84, (ზოგიერთი განსხვავებული ქცევითი რეაქციის შესახებ, რომლებსაც მსხვერპლები ავლენენ სექსუალური ძალადობის დროს და მის შემდეგ, რათა დაიცვან თავი დამატებითი ზიანისგან და გადაურჩნენ სიტუაციას).

94 უზრუნველყოფს, რომ უკიდურესად მაღალი დონის ძალადობა, იარაღის ან იარაღის მუქარის გამოყენება და მსხვერპლისთვის მძიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტრავმის მიყენება დამამძიმებელ გარემოებებად არის მიჩნეული (მუხლი 46(ვ),(ზ),(თ)).

Photo by Shalika Studio

შეუძლებელია, შესაბამისად, სქესობრივი კავშირის დამადასტურებელი ფიზიკური მტკიცებულება არ არსებობს. თუკი საქმეში ასევე არ მოიპოვება მოწმეთა ჩვენებები და ძალის ან ძალადობის გამოყენების მუქარის მტკიცებულებები, ამგვარი საქმის სასამართლომდე მიღწევისა და მსხვერპლის სასარგებლოდ გადაწყვეტის პერსპექტივა ნაკლებია. მსგავსად, სექსუალური ძალადობის საქმეებში, რომლებიც სექსუალური ხასიათის შეღწევას არ გულისხმობს, ამგვარი პერსპექტივა კიდევ უფრო მცირდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სასამართლო ხელისუფლების, პროკურორების, პოლიციისა და გამომძიებლების გენდერულად მგრძნობიარე გადამზადება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განმარტონ და გამოიძიონ თანხმობის არარსებობა. ეს უნდა მოიცავდეს ცალკეული შემთხვევის გარემოებების შესწავლას, იმის დასადგენად, არსებობდა თუ არა ნების დამთრგუნველი რაიმე გარემოება, რომელიც ნებაყოფლობითი თანხმობის თავისუფლად გამოხატვას შეაფერხებდა, ან მსხვერპლის მხრიდან თანხმობის გამოხატვის შესაძლებლობასა და უნარზე გავლენას მოახდენდა. ამასთანავე, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მონაწილე პირებისთვის სახელმძღვანელო რეკომენდაციების შემუშავება მოცემულ საკითხზე,[95] მათ შორის, კონფლიქტის კონტექსტში სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით, პრაქტიკულ გადამზადებასთან ერთად, გამოსადეგი იქნება.[96]

2. არსებული სამართლებრივი დებულებების ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინტერპრეტაცია

სქესობრივი დანაშაულების განმარტებები საქართველოში, ყაზახეთში, ყირგიზეთსა და უზბეკეთში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებს და აუცილებელია მათი შეცვლა, მათთან დასაახლოებლად. ამ სტანდარტებთან მისასადაგებლად შესაბამისი ცვლილებების განხორციელებამდე, ქვემოთ წარმოდგენილი ქვეთავები გასცემს რეკომენდაციებს ამჟამინდელი საკანონმდებლო დებულებების ინტერპრეტაციის გზების შესახებ, რათა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პრაქტიკა მაქსიმალურად დაუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

გაუპატიურება

ძალადობა და მტკიცებულებითი მოთხოვნები

არსებული საკანონმდებლო დებულებები გაუპატიურების დასადასტურებლად ეაკულაციის, შეღწევის ფიზიკური კვალის ან ხილვადი ფიზიკური დაზიანებების მტკიცებულებებს არ საჭიროებს. შესაბამისად, სამართალდამცავებმა, გამომძიებლებმა და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა მსხვერპლისგან არ უნდა მოითხოვონ ისინი და თავიდან უნდა აიცილონ ზედმეტი, უსამართლოდ მკაცრი ან დისკრიმინაციული მტკიცებულებების მოთხოვნები, მაგალითად, საქალწულე აპკის/ქალწულობის შემოწმება.

განსახილველი ქვეყნების კანონმდებლობაში არ მოქმედებს მოთხოვნა, რომ მსხვერპლმა სექსუალურ ძალადობაზე წინააღმდეგობა უნდა გასწიოს, ან ძალადობის დონემ გარკვეულ ხარისხს უნდა მიაღწიოს, მაგალითად, როგორიცაა დებულებები, რომლებიც „გადაჭარბებულ ფიზიკურ ძალას“ ან „სიცოცხლისთვის საშიშ ძალას“ მოითხოვს იმისთვის, რათა გაუპატიურების შემადგენელ ელემენტად იქნეს მიჩნეული. გარდა ამისა, არსებული საკანონმდებლო

95 „სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისთვის საქართველოში“ (№31).

96 CEDAW კომიტეტი, „შემაჯამებელი დაკვირვებები უკრაინის მერვე პერიოდულ ანგარიშზე“, (CEDAW/C/UKR/CO/8), პარა. 15(ბ): „უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი გადამზადება სამართლის სფეროს პროფესიონალების, გამომძიებლების, პროკურორებისა და პოლიციის ოფიცრებისთვის, რათა გაიზარდოს მათი შესაძლებლობები სექსუალური ძალადობის შემთხვევების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის დოკუმენტირებისა და გამოძიების საერთაშორისო პროტოკოლის შესაბამისად“.

დებულებები, ისევე, როგორც საერთაშორისო სტანდარტები, „ძალადობის“ ელემენტში მხოლოდ ფიზიკური ძალადობის მოაზრებით არ არის შეზღუდული. შესაბამისად, ძალადობა, ასევე უნდა განიმარტოს, როგორც ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ძალადობა, ან იძულება.[97]

ძალადობის მუქარა

„ძალადობის მუქარის“ ინტერპრეტაცია უნდა გაფართოვდეს იმგვარად, რომ არ მოიცავდეს მხოლოდ *ფიზიკური* ძალადობის მუქარას, ან ისეთ შემთხვევებს, რომლებიც სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ან ქონების განადგურების იმწუთიერ საფრთხეს ქმნის. ასეთი ვიწრო ინტერპრეტაცია ზღუდავს მის გამოყენებას მხოლოდ იმ მცირე რაოდენობის შემთხვევებისთვის, რომლებიც ამ მაღალ მტკიცებულებით ზღვარს გადალახავს.[98] ნაცვლად ამისა, აღიარებული უნდა იყოს სხვა სახის ძალადობაც, როგორიცაა ფსიქოლოგიური[99] ან ეკონომიკური ძალადობა ან სხვა სახის ზიანის, მაგალითად, სოციალურ მედიაში თუ ნაცნობი პირებისთვის სენსიტიური ან პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნების მუქარა. ძალადობის მუქარა შესაძლოა მიმართული იყოს არა მხოლოდ თავად მსხვერპლებისკენ, არამედ, ნებისმიერი სხვა პირისკენ, რომლის მიმართაც მსხვერპლს გარკვეული პასუხისმგებლობა აქვს. ძალადობის მუქარა არ მოითხოვს მოძალადის მიერ მის განხორციელებას, ან თუნდაც ამის შესაძლებლობის ქონას, არამედ, იმ მომენტში მსხვერპლის რწმენას, რომ მოძალადეს მუქარის განხორციელება შეუძლია. მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავს რაიმე სახის შეზღუდვებს, თუ რა ფორმით უნდა იქნეს მუქარა გამოხატული, მაგალითად, სიტყვების, ჟესტების, თუ მოქმედებების მეშვეობით. მოქმედი დებულებები არც მუქარის იმწუთიერების მოთხოვნას აყენებს. შესაბამისად, ნებისმიერი სახის ქმედება/მუქარა, რომელიც მსხვერპლის ნებელობას დაძლევს, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, გაუპატიურების ჩადენის ხერხად უნდა ჩაითვალოს.

მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენება

სექსუალური ძალადობის განმარტებები შეიცავს მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენებას, რაც, შესაძლებელია, უფრო ფართოდ განიმარტოს, იმგვარად, რომ ასევე მოიცავდეს სიტუაციებს, როდესაც მოძალადე სარგებლობს ნების დამთრგუნველი გარემოთი, როგორიცაა ოჯახში ძალადობა, ძალის გამოყენება, ძალის გამოყენების მუქარა, ან იძულება.[100] ქალები, რომლებიც ოჯახში ძალადობისა და იძულებითი კონტროლის მსხვერპლები არიან, შესაძლოა, ჩაითვალონ „უმწეოდ“ განსახილველი დებულებების მიზნებისათვის, რამდენადაც, მსხვერპლს ამგვარ ნების დამთრგუნველ გარემოში ჭეშმარიტი თანხმობის გაცხადება არ შეუძლია. ამის გამოსარკვევად, თითოეულ შემთხვევაში საჭიროა კონტექსტური ანალიზი. ისეთი სიტუაციები, როგორიცაა, მაგალითად, როდესაც მოძალადე ფიზიკურად უსწორდება მსხვერპლს და შემდეგ უბიძგებს მას სქესობრივი კავშირისკენ, შეიძლება ჩაითვალოს გაუპატიურებად, რადგან მსხვერპლს არ შეეძლო, თანხმობა ნებაყოფლობით გამოეთქვა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსხვერპლებთან მიმართებით, არ უნდა არსებობდეს ავტომატური ვარაუდი, რომ გონებრივი/ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი უმწეო მდგომარეობაშია, „გარდა სიტუაციებისა, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის კონკრეტული ფორმა აფერხებს ადამიანს, სიტუაციის გააზრებასა და ნებაყოფლობითი თანხმობის გამოხატვაში.“[101] შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსხვერპლთან დაკავშირებით უმწეობის შეფასება უნდა მოიცავდეს თანხმობის გამოსახატად მათი ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და კომპეტენციის, ასევე, იმის შეფასებას, არსებობდა თუ არა თანხმობა

97 სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, მუხლი 36; CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია №35 და „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 4(ა-ე), ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=22

98 „თანასწორობა ახლა“, „დაბრკოლებები მართლმსაჯულებაში“ (№89), გვ. 8.

99 გეგელია თ., კელენჯერიძე ი., ჯიშკარიანი ბ., „სქესობრივი დანაშაულები“ (2020), ხელმისაწვდომია: https://hol.ge/img/file/%E1%83%A1%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf, გვ. 37.

100 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე M.C. v Bulgaria, App. №39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარა. 102, შეიცავს მითითებას ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის საქმეზე Prosecutor v. Furundzija, IT-95-17/1-T, 1998 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება.

101 „თანასწორობა ახლა“, „დაბრკოლებები მართლმსაჯულებაში“ (№89), გვ. 9.

Photo by Tara Carey

კონკრეტულ სექსუალური ხასიათის ქმედებაზე გარემომცველი პირობების გათვალისწინებით.[102] უმწეობა ფართოდ უნდა განიმარტოს და უნდა მოიცვას გარემოებათა ფართო სპექტრი სისხლის სამართლის კოდექსებით განსაზღვრულ უმწეობის განმარტებასთან ერთად, რომელიც ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის, მძიმე ინტოქსიკაციისა და უგონო მდგომარეობის შეფასებას მოითხოვს.

შეღწევა/სქესობრივი კავშირი

არსებული საკანონმდებლო დებულებები, გაუპატიურების დასადგენად სრულ შეღწევას არ მოითხოვს. შესაბამისად, შეღწევის ნებისმიერი ხარისხი, რაც არ უნდა მცირე იყოს, გაუპატიურების დასადგენად საკმარისია.

სექსუალური ხასიათის ქმედებები

საქართველოში, ყაზახეთში, ყირგიზეთსა და უზბეკეთში, სისხლის სამართლის კოდექსებში „სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედებების"/ „სექსუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების" დანაშაულებისთვის ძალადობისა და მტკიცებულებითი სტანდარტების, ასევე ძალადობის მუქარის, შეღწევის/სქესობრივი კავშირისა და მოძალადესა და მსხვერპლს შორის ურთიერთობის იგივე გაგება უნდა გამოიყენებოდეს, როგორც ეს ზემოთ მოცემულ ნაწილშია მითითებული.

ამდენად, სექსუალური ხასიათის დანაშაულების არსებული საკანონმდებლო დებულებები იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ მოიცვას თანხმობის გარეშე ჩადენილი ისეთი ქმედებები, როგორიცაა უსაფრთხოების სამსახურების მიერ დაკავების დროს ადამიანის პირადი ჩხრეკა; სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დამამცირებელი და სექსუალური ხასიათის ქმედებები (მაგალითად, იძულებითი გაშიშვლება) და ციხეში უსაფრთხოების დაცვის მიზნით პირის ვაგინალური ან ორალური შემოწმება არა ჯანდაცვის პროფესიონალის, არამედ, პოლიციის მიერ.[103] ფიზიკური კონტაქტი კი, უნდა მოიაზრებოდეს, როგორც კონტაქტი კანზე, ასევე, ტანსაცმელზე, აგრეთვე საგნების გამოყენებით ჩადენილი ქმედებები.

102 „სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისთვის საქართველოში" (№31), გვ. 34-36.
103 „თანასწორობა ახლა", „დაბრკოლებები მართლმსაჯულებაში" (№89), გვ. 10; „ჰაგის პრინციპები სექსუალური ძალადობის შესახებ", ხელმისაწვდომია: https://4genderjustice.org/ftp-files/publications/The-Hague-Principles-on-Sexual-Violence_Ge.pdf

IV. დასკვნა და რეკომენდაციები

Photo by Gennadiy Kravchenko

სექსუალური ძალადობის ზემოთ გაანალიზებული დებულებები, საერთო ჯამში, საგრძნობლად ჩამორჩება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს და საზიანო გავლენას ახდენს მსხვერპლის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის უფლებებზე. ეს დებულებები, ნაცვლად იმისა, რომ მსხვერპლი დაიცვას სექსუალური ძალადობისგან, დამნაშავეთა დაუსჯელობას ემსახურება.

საქართველოს, ყირგიზეთის, ყაზახეთისა და უზბეკეთის შესახებ CEDAW კომიტეტის უახლეს მიმოხილვაში, სექსუალურ ძალადობასთან მიმართებით შემდეგი რეკომენდაციები გაიცა:

- **უზბეკეთმა** უნდა „შეცვალოს თავისი კანონმდებლობა, რათა გაუპატიურების განმარტება დაეფუძნოს არა ძალადობის გამოყენებას ან ძალადობის გამოყენების მუქარას, არამედ, თანხმობის არარსებობას";[104]
- **ყირგიზეთმა**[105] უნდა „მიიღოს გაუპატიურების (მუხლი 161) თავისუფალი თანხმობის არარსებობაზე დაფუძნებული განმარტება, რომელიც ყველა ქალს იცავს გაუპატიურებისაგან, მათ შორის, ლესბოსელ, ბისექსუალ და ტრანსგენდერ ქალებს"[106] და „სისხლის სამართლის კოდექსში მეუღლის გაუპატიურების ცალსახა კრიმინალიზაცია მოახდინოს...";[107]
- **ყაზახეთმა** უნდა „გადასინჯოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლი, რათა გაუპატიურების განმარტება თანხმობის არარსებობას დაეფუძნოს და შესაბამისობაში მოვიდეს კონვენციასთან და კომიტეტის პრეცედენტულ სამართალთან ფაკულტატური ოქმის მიხედვით";[108]
- საქართველო **ვალდებულია, კომიტეტს, 2023 წლის მიმოხილვამდე, მიაწოდოს ინფორმაცია იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებიც გადადგა „გაუპატიურების სამართლებრივი განმარტების შესაცვლელად, რათა იგი დაეფუძნოს არა ძალადობის გამოყენებას ან ძალადობის გამოყენების მუქარას, არამედ, თანხმობის არარსებობას";**[109]
- უკრაინამ **უნდა „შეცვალოს თავისი კანონმდებლობა, რათა ის ჰარმონიზაციაში მოვიდეს ევროპის საბჭოს №210** კონვენციასთან ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (2011) და აამაღლოს მოსამართლეების, პროკურორების, სამართალდა**მცავებისა და საზოგადოების, განსაკუთრებით, ქალებისა და გოგონების ცნობიერება №210** კონვენციის შესახებ".[110]

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის (გრევიო) რეკომენდაციები საქართველოს საბაზო შეფასების ანგარიშის მიხედვით:[111]

გრევიო საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს მოუწოდებს, შეცვალონ სისხლის სამართლის კოდექსის დებულებები, რომლებიც, სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე და 139-ე მუხლების ფარგლებში, გაუპატიურებასა და სექსუალური ძალადობის სხვა დანაშაულებს მოიცავს და სრულად დაამკვიდრონ თავისუფლად გაცემული თანხმობის ცნება, როგორც ამას სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლი მოითხოვს, ასევე, უზრუნველყონ, რომ ასეთ დებულებებს პრაქტიკაში ეფექტიანად იყენებდნენ სამართალდამცავი ორგანოები, პროკურორები და სასამართლო ხელისუფლება, *მათ შორის, როდესაც საქმის გარემოებები თანხმობის არსებობას გამორიცხავს. ამ მიზნით, გრევიო კატეგორიულად მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს, სისხლის სამართლის სისტემის ყველა შესაბამისი პროფესიონალისთვის შემოიღონ* სახელმძღვანელო რეკომენდაციები და სასწავლო პროგრამები, რომლებიც გაუპატიურების ზემოთ განსაზღვრულ გაგებას ასახავს (პარა. *261).*

გრევიო მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეცვალოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ განზრახ ქმედებას (პარა. *262).*

104 CEDAW კომიტეტი, „შემაჯამებელი დაკვირვებები უზბეკეთის მეექვსე პერიოდულ ანგარიშზე", (CEDAW/C/UZB/CO/6), პარა. 22(გ).
105 CEDAW კომიტეტი, „შემაჯამებელი დაკვირვებები ყირგიზეთის მეხუთე პერიოდულ ანგარიშზე", CEDAW (CEDAW/C/KGZ/CO/5).
106 იქვე. პარა. 48(ბ).
107 იქვე. პარა. 22(გ).
108 CEDAW კომიტეტი, „შემაჯამებელი დაკვირვებები ყაზახეთის მეხუთე პერიოდულ ანგარიშზე", (CEDAW/C/KAZ/CO/5), პარა. 26(ბ).
109 CEDAW კომიტეტი, „საქართველოს მეექვსე პერიოდულ ანგარიშთან დაკავშირებული საკითხებისა და კითხვების ჩამონათვალი", (CEDAW/C/GEO/Q/6), პარა. 10(ა).
110 CEDAW კომიტეტი, „შემაჯამებელი დაკვირვებები უკრაინის მეცხრე პერიოდულ ანგარიშზე", (CEDAW/C/UKR/CO/9), პარა. 30(ა).
111 გრევიო, „საბაზო შეფასების ანგარიში საქართველოსთვის", (მიღებულია 2022 წლის 13 ოქტომბერს), ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-report-on-georgia-2022/1680a917aa

ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებთან ერთად, **საქართველოში, ყირგიზეთში, ყაზახეთსა** და **უზბეკეთში** შემდეგი სახის **საკანონმდებლო ცვლილებები** უნდა განხორციელდეს:

1. შეიცვალოს გაუპატიურების განმარტება, რათა იგი ცალსახად მოიცავდეს თანხმობის არარსებობას, როგორც დანაშაულის შემადგენელ ელემენტს. ძალადობის გამოყენება და ძალადობის გამოყენების მუქარა უნდა მიიჩნეოდეს არა დანაშაულის შემადგენელ ელემენტებად, არამედ, დამამძიმებელ გარემოებად. თანხმობა უნდა განიმარტოს, როგორც ნამდვილი და ნებაყოფლობითი და გაცემული პირის თავისუფალი ნების შედეგად, რომელიც უნდა შეფასდეს გარემომცველი პირობების კონტექსტში და თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად.
2. გაუქმდეს სექსუალური ხასიათის კავშირის/აქტების იძულების მუხლები, რამდენადაც ისინი გაუპატიურების ტოლფასი დანაშაულებია და მასში შემავალი ქმედებები ინტეგრირდეს გაუპატიურების მუხლებში, დანაშაულის სიმძიმის შესაბამისი სანქციებით.
3. ამჟამინდელი თუ ყოფილი მეუღლის ან პარტნიორის გაუპატიურება დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად განისაზღვროს.
4. მოხდეს სხვა ადამიანის იძულების ცალსახა კრიმინალიზაცია, თანხმობის გარეშე, მესამე პირთან დაამყაროს სექსუალური ხასიათის აქტები.

რეკომენდაციები **პრაქტიკის ცვლილებების** შესახებ **საქართველოს, ყირგიზეთის, ყაზახეთისა** და **უზბეკეთის** მიმართ, საკანონმდებლო ცვლილებებამდე, მოქმედი კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების უზრუნველსაყოფად:

1. ძალადობამ, როგორც გაუპატიურების ჩადენის ხერხმა, მოიცვას არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ძალადობა და იძულება.
2. ძალადობის მუქარამ, როგორც გაუპატიურების ჩადენის ხერხმა, მოიცვას არა მხოლოდ სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების, არამედ, ნებისმიერი სხვა სახის მუქარა, რომელიც მსხვერპლის თავისუფალი ნების დაძლევას იწვევს.
3. უმწეობა არ განიმარტებოდეს შეზღუდულად და მოიცვას შემთხვევები, როდესაც მსხვერპლი, არაერთ სხვადასხვა სიტუაციაში, პასიურ მდგომარეობაში იმყოფება, მათ შორის, შიშის, დახმარების მიღების შეუძლებლობის, ოჯახში ძალადობისა თუ თავისუფლების უკანონო აღკვეთის გამო.
4. თანხმობის გარეშე განხორციელებული სექსუალური ხასიათის შეღწევის ყველა შემთხვევაში, ნაცვლად იძულებისა, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს გაუპატიურების მუხლით.
5. სექსუალური ძალადობის მოქმედი დებულებები განიმარტოს იმგვარად, რომ მოიცვას სხვა ადამიანის იძულება, თანხმობის გარეშე, მესამე პირთან დაამყაროს სექსუალური ხასიათის აქტები.

რეკომენდაციები **უკრაინის** მიმართ:

1. გამოიცეს გაიდლაინები/სახელმძღვანელოები, გამომძიებლები, სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო ხელისუფლება გადამზადდეს და რესურსები გაძლიერდეს საიმისოდ, თუ როგორ უნდა განიმარტოს და აღსრულდეს გაუპატიურებისა და სხვა სახის სექსუალური ძალადობის თანხმობაზე დაფუძნებული მუხლები, რათა ყველა მსხვერპლს ჰქონდეს მართლმსაჯულებაზე წვდომის შესაძლებლობა.
2. სათანადოდ აღსრულდეს ახალი კანონმდებლობა, თანხმობის გარეშე ჩადენილ სექსუალური ხასიათის ყველა ქმედებაზე პასუხისმგებლობის დასაკისრებლად და ფიზიკური ძალისა თუ მუქარის მნიშვნელობაზე ზედმეტი ხაზგასმის თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, მოიცვას ყველა ის გარემოება, როდესაც, სხვადასხვა მიზეზის გამო, მსხვერპლი პასიურ მდგომარეობაში, მათ შორის, ნების დამთრგუნველ გარემოებებსა და არათანაბარ ძალაუფლებრივ მდგომარეობაში, იმყოფებოდა.

დანართი - კანონმდებლობა

Photo by mashabuba

უკრაინა

მუხლი 152. გაუპატიურება

1. სექსუალური ხასიათის ქმედებები, ჩადენილი სასქესო ორგანოს ან სხვა საგნის გამოყენებით, სხვა პირის სხეულში ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევის გზით, მსხვერპლის ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე (გაუპატიურება) ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

2. გაუპატიურება, ჩადენილი არაერთგზის, ან იმ პირის მიერ, ვისაც ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 153-155-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, ან ამგვარი ქმედებების ჩადენა მეუღლის ან ყოფილი მეუღლის, ან იმ პირის მიმართ, რომელთანაც დამნაშავე იმყოფება (იმყოფებოდა) ოჯახურ ან ახლო ურთიერთობაში, ან პირის მიმართ სამსახურებრივი, პროფესიული ან საჯარო მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით, ან დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

3. გაუპატიურება, ჩადენილი ჯგუფის მიერ, ან არასრულწლოვანის გაუპატიურება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედება, ჩადენილი თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ, მიუხედავად მისი ნებაყოფლობითი თანხმობისა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე.

5. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედება, რამაც რაიმე მძიმე შედეგი გამოიწვია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე.

6. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედება, ჩადენილი არაერთგზის, ან იმ პირის მიერ, რომელსაც ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 153-ე მუხლის მე-4 ან მე-5 ნაწილით, 155-ე მუხლით ან 156-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტ წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

შენიშვნა: თანხმობა ნებაყოფლობითად ჩაითვლება, თუ იგი, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, პირის გააზრებული და თავისუფალი მოქმედების შედეგია.

მუხლი 153. სექსუალური ძალადობა

1. ნებისმიერი სახის სექსუალური ძალადობის ჩადენა, რომელიც არ არის დაკავშირებული სხვა პირის სხეულში შეღწევასთან, მსხვერპლის ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე (სექსუალური ძალადობა) ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

2. სექსუალური ძალადობა, ჩადენილი არაერთგზის, ან იმ პირის მიერ, ვისაც ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 152-ე, 154-ე ან 155-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, ან ამგვარი ქმედებების ჩადენა მეუღლის ან ყოფილი მეუღლის, ან იმ პირის მიმართ, რომელთანაც დამნაშავე იმყოფება (იმყოფებოდა) ოჯახურ ან ახლო ურთიერთობაში, ან პირის მიმართ სამსახურებრივი, პროფესიული ან საჯარო მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით, ან დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

3. სექსუალური ძალადობა, ჩადენილი ჯგუფის მიერ, ან სექსუალური ძალადობა არასრულწლოვანის მიმართ ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედება, ჩადენილი თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ, მიუხედავად მისი ნებაყოფლობითი თანხმობისა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

5. ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედება, რამაც რაიმე მძიმე შედეგი გამოიწვია ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე.

6. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედება, ჩადენილი არაერთგზის, ან იმ პირის მიერ, რომელსაც ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 153-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 155-ე მუხლით ან 156-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტ წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

მუხლი 154. სქესობრივი კავშირის იძულება

1. პირისთვის, ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე, სხვა პირთან სექსუალური ხასიათის ქმედების იძულება ისჯება ორმოცდაათამდე დაუბეგრავი მინიმალური შემოსავალის ჯარიმით ან პატიმრობით ვადით ექვს თვემდე.

2. პირისთვის, ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის ქმედების იძულება იმ პირთან, რომელზეც მსხვერპლი მატერიალურად ან პროფესიულად დამოკიდებულია, ისჯება ათასამდე დაუბეგრავი მინიმალური შემოსავალის ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედება, რომელსაც თან ახლავს მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავების ქონების განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის მუქარა, ან მისი ან მისი ახლო ნათესავების ღირსების შემლახველი ინფორმაციის გამჟღავნების მუქარა ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

საქართველო

მუხლი 137. გაუპატიურება

1. გაუპატიურება, ესე იგი პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან რვა წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება:
ა) ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან ათ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:
ა) არაერთგზის;
ბ) იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 138-ე-141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული;
გ) ჯგუფურად;
დ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;
ე) დამნაშავის მზრუნველობის, მეურვეობის ან მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირის ან ოჯახის წევრის მიმართ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ცამეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

4. იგივე ქმედება:
ა) ჩადენილი დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით;
ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა;
გ) ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ;
დ) ჩადენილი არასრულწლოვანის მიმართ ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

მუხლი 138. სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება

1. სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რომელიც არ შეიცავს ამ კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება:
ა) ჩადენილი არაერთგზის;
ბ) ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
გ) ჩადენილი ჯგუფურად;
დ) ჩადენილი დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;
ე) ჩადენილი იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 137-ე, 139-ე, 140-ე და 141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული;
ვ) ჩადენილი დამნაშავის მზრუნველობის, მეურვეობის ან მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირის ან ოჯახის წევრის მიმართ;
ზ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

3. იგივე ქმედება:
ა) ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ;
ბ) ჩადენილი არასრულწლოვანის მიმართ ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით;
გ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

4. იგივე ქმედება:

ა) დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ;

ბ) ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

მუხლი 139. პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება

1. პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება, ჩადენილი ქონებრივი დაზიანების, სახელის გამტეხი ინფორმაციის, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან ისეთი ცნობის გახმაურების მუქარით, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს ამ პირის უფლება, ანდა დაზარალებულის უმწეობის ან მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით, –

ისჯება ჯარიმით ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:
ა) არაერთგზის;
ბ) იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 137-ე, 138-ე, 140-ე და 141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული;
გ) ჯგუფურად;
დ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;
ე) დამნაშავის მზრუნველობის, მეურვეობის ან

მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირის ან ოჯახის წევრის მიმართ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ცხრა წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

4. იგივე ქმედება:
ა) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა;
ბ) ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თხუთმეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

ყირგიზეთი

მუხლი 154. გაუპატიურება

1. გაუპატიურება, ესე იგი სქესობრივი კავშირი ძალადობით, რომელიც არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში, ან მისი გამოყენების მუქარით მსხვერპლის ან სხვა პირის მიმართ, აგრეთვე, მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

2. იგივე ქმედებები:
1) ჩადენილი ჯგუფურად;
2) ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
3) რომელიც ასოცირდება სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის მუქარასთან;
4) ჩადენილი მსხვერპლის ან მისი ნათესავების მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თერთმეტ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებები:
1) რამაც ორსულობა გამოიწვია;
2) ჩადენილი 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანის მიმართ;
3) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
4) ჩადენილი კრიმინალური საზოგადოების შემადგენლობაში;
5) რამაც გაუფრთხილებლობით სერიოზული ზიანი გამოიწვია, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებები, ჩადენილი თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვანის მიმართ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტ წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

მუხლი 155. სექსუალური ხასიათის ძალადობრივი ქმედებები

1. სოდომია, ლესბოსელობა ან სექსუალური ხასიათის სხვა ქმედებები გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, რომელიც არ

არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში, ან მისი გამოყენების მუქარით მსხვერპლის ან სხვა პირის მიმართ, აგრეთვე, მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

2. იგივე ქმედებები:
1) ჩადენილი ჯგუფურად;
2) ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
3) რომელიც ასოცირდება სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის მუქარასთან;
4) ჩადენილი მსხვერპლის ან მისი ნათესავების მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თერთმეტ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებები, ჩადენილი:
1) გაუფრთხილებლობით სერიოზული ზიანის გამოწვევით;
2) 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანის მიმართ;
3) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
4) კრიმინალური საზოგადოების შემადგენლობაში, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებები, ჩადენილი თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვანის მიმართ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 15 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

მუხლი 156. სექსუალური ხასიათის ქმედების იძულება

1. პირისთვის სქესობრივი კავშირის, სოდომის, ლესბოსელობის ან გაუკუღმართებული ფორმით სექსუალური ხასიათის სხვა ქმედებების იძულება შანტაჟის ან მსხვერპლის მატერიალური ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით, თუკი ქმედება არ შეიცავს ამ კოდექსის 154-ე და 155-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ნიშნებს, –

ისჯება გარკვეული თანამდებობების დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ერთიდან სამ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან სამ წლამდე, ან 1 000-დან 2 000-მდე ყოველთვიური მინიმალური ხელფასის ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედებები, ჩადენილი:
1) 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან მიმართებით;
2) მშობლის ან სხვა პირის მიერ, რომელსაც კანონით ბავშვის აღზრდის მოვალეობა აკისრია, აგრეთვე, საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი, სამედიცინო ან სხვა დაწესებულების მასწავლებლის ან სხვა თანამშრომლის მიერ, რომელიც კანონით ბავშვის მეთვალყურეობაზეა პასუხისმგებელი, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

3. იგივე ქმედებები, ჩადენილი თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვანის მიმართ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თერთმეტ წლამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

უზბეკეთი

მუხლი 118. გაუპატიურება

გაუპატიურება, ესე იგი სქესობრივი კავშირი ძალადობით, მუქარით ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

გაუპატიურება:
ა) ორი ან მეტი პირის მიმართ;
ბ) ჩადენილი არაერთგზის, ან საშიში რეციდივისტის, ან პირის მიერ, რომელსაც ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 119-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული;
გ) ჩადენილი ჯგუფურად;
დ) რომელსაც თან ახლავს სიცოცხლის მოსპობის მუქარა, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.

გაუპატიურება:
ა) დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ;
ბ) ახლო ნათესავის მიმართ;
გ) ჩადენილი მასობრივი არეულობის მონაწილის მიერ;
დ) ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ;
ე) რომელიც მძიმე შედეგებს იწვევს, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე.

დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით 14 წლის ასაკს მიუღწეველი პირის გაუპატიურება, –

იხილეთ წინა გამოცემა.

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე.

მუხლი 119. სექსუალური მოთხოვნილების არაბუნებრივი ფორმით დაკმაყოფილება ძალადობის გამოყენებით

სექსუალური მოთხოვნილების არაბუნებრივი ფორმით დაკმაყოფილება ძალადობით, მუქარით ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

იგივე ქმედებები:
ა) ორი ან მეტი პირის მიმართ;
ბ) ჩადენილი არაერთგზის, ან საშიში რეციდივისტის, ან პირის მიერ, რომელსაც ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 118-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული;
გ) ჩადენილი ჯგუფურად;
დ) რომელსაც თან ახლავს სიცოცხლის მოსპობის მუქარა, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.

ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებები:
ა) დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ;
ბ) ახლო ნათესავის მიმართ;
გ) ჩადენილი მასობრივი არეულობის მონაწილის მიერ;
დ) ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ;
ე) რომელსაც მძიმე შედეგები მოჰყვა, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებები, ჩადენილი დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით 14 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე.

მუხლი 121. ქალისთვის სქესობრივი კავშირის იძულება

ქალისთვის სქესობრივი კავშირის ან სექსუალური მოთხოვნილების არაბუნებრივი ფორმით დაკმაყოფილების იძულება იმ პირის მიერ, რომელზეც ქალი პროფესიულად, მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულია –

ისჯება სავალდებულო საზოგადოებრივი შრომით 300 საათამდე, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.

იგივე ქმედება, რომელიც დაკავშირებულია სქესობრივ აქტთან ან სექსუალური მოთხოვნილების

არაბუნებრივი ფორმით დაკმაყოფილებასთან,

ისჯება სავალდებულო საზოგადოებრივი შრომით სამასიდან ოთხას ოთხმოც საათამდე, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორიდან სამ წლამდე, ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

ყაზახეთი

მუხლი 120. გაუპატიურება

1. გაუპატიურება, ესე იგი სქესობრივი აქტი ძალადობით, ძალადობის გამოყენების მუქარით მსხვერპლის ან სხვა პირების მიმართ, ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

2. გაუპატიურება:
1) ჩადენილი ჯგუფურად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
2) სიცოცხლის მოსპობის მუქარითა და განსაკუთრებული სისასტიკით მსხვერპლის ან სხვა პირების მიმართ;
3) რამაც მსხვერპლის ვენერიული დაავადებით ინფიცირება გამოიწვია;
4) ჩადენილი არაერთგზის;
5) ჩადენილი პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 პარაგრაფებით გათვალისწინებული ქმედებები, თუ ისინი:
1) გამორიცხულია ყაზახეთის რესპუბლიკის 2019 წლის 27 დეკემბრის No. 292-VI კანონის შესაბამისად;
2) გაუფრთხილებლობით იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას, მის შიდსით ინფიცირებას ან სხვა მძიმე შედეგს;
3) გამორიცხულია ყაზახეთის რესპუბლიკის 2019 წლის პირველი აპრილის No. 240-VI კანონის შესაბამისად;
4) ჩადენილია საგანგებო სიტუაციაში ან მასობრივი არეულობის დროს;
5) გამორიცხულია ყაზახეთის რესპუბლიკის 2019 წლის პირველი აპრილის No. 240-VI კანონის შესაბამისად;
6) გამორიცხულია ყაზახეთის რესპუბლიკის 2020 წლის 30 დეკემბრის No. 393-VI კანონის შესაბამისად;

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან მის გარეშე ათი წლის ვადით.

3-1. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილებით

გათვალისწინებული ქმედებები, თუ ისინი:
1) ჩადენილია არასრულწლოვანის მიმართ;
2) გამორიცხულია ყაზახეთის რესპუბლიკის 2020 წლის 30 დეკემბრის No. 393-VI კანონის შესაბამისად;
3) ჩადენილია კრიმინალური ჯგუფის მიერ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების უვადო ჩამორთმევით.

3-2. ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ან 3-1 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებები, თუ ისინი:
1) ჩადენილია ორი ან მეტი არასრულწლოვანის მიმართ;
2) გამორიცხულია ყაზახეთის რესპუბლიკის 2020 წლის 30 დეკემბრის No. 393-VI კანონის შესაბამისად;
3) ჩადენილია არასრულწლოვანის მიმართ მშობლის, მამინაცვლის, მასწავლებლის ან სხვა პირის მიერ, რომელსაც ყაზახეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით მისი აღზრდის პასუხისმგებლობა ეკისრება, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ჩვიდმეტიდან ოც წლამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების უვადო ჩამორთმევით, ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით, 3-1 და 3-2 ნაწილების მე-3 პარაგრაფით გათვალისწინებული ქმედებები, თუ ისინი თუ ისინი ჩადენილია არასრულწლოვანის მიმართ, ან გაუფრთხილებლობით მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოც წლამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების უვადო ჩამორთმევით, ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

მუხლი 121. სექსუალური ხასიათის ძალადობრივი ქმედებები

1. სოდომია, ლესბოსელობა ან სექსუალური ხასიათის სხვა ქმედებები ძალადობით, ძალადობის გამოყენების მუქარით მსხვერპლის ან სხვა პირების მიმართ, ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

2. იგივე ქმედებები:
1) ჩადენილი ჯგუფურად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
2) სიცოცხლის მოსპობის მუქარითა და განსაკუთრებული სისასტიკით მსხვერპლის ან სხვა პირების მიმართ;
3) რამაც მსხვერპლის ვენერიული დაავადებით ინფიცირება გამოიწვია;
4) ჩადენილი არაერთგზის;
5) ჩადენილი პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 პარაგრაფებით გათვალისწინებული ქმედებები, თუ ისინი:
1) გამორიცხულია ყაზახეთის რესპუბლიკის 2019 წლის 27 დეკემბრის No. 292-VI კანონის შესაბამისად;
2) გაუფრთხილებლობით იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას, მის შიდსით ინფიცირებას ან სხვა მძიმე შედეგს;
3) გამორიცხულია ყაზახეთის რესპუბლიკის 2019 წლის პირველი აპრილის No. 240-VI კანონის შესაბამისად;
4) ჩადენილია საგანგებო სიტუაციაში ან მასობრივი არეულობის დროს;
5) გამორიცხულია ყაზახეთის რესპუბლიკის 2019 წლის პირველი აპრილის No. 240-VI კანონის შესაბამისად;
6) გამორიცხულია ყაზახეთის რესპუბლიკის 2020 წლის 30 დეკემბრის No. 393-VI კანონის შესაბამისად;

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან მის გარეშე ათი წლის ვადით.

3-1. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებები, თუ ისინი:
პირველი ქვეპუნქტი შეიცვალა ყაზახეთის რესპუბლიკის 2019 წლის 27 დეკემბრის No. 292-VI კანონის შესაბამისად;
1) ჩადენილია არასრულწლოვანის მიმართ;
2) გამორიცხულია ყაზახეთის რესპუბლიკის 2020 წლის 30 დეკემბრის No. 393-VI კანონის შესაბამისად;
3) ჩადენილია კრიმინალური ჯგუფის მიერ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის

უფლების უვადო ჩამორთმევით.

3-2. ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ან 3-1 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებები, თუ ისინი:
1) ჩადენილია ორი ან მეტი არასრულწლოვანის მიმართ;
2) გამორიცხულია ყაზახეთის რესპუბლიკის 2020 წლის 30 დეკემბრის No. 393-VI კანონის შესაბამისად;
3) ჩადენილია არასრულწლოვანის მიმართ მშობლის, მამინაცვლის, მასწავლებლის ან სხვა პირის მიერ, რომელსაც ყაზახეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით მისი აღზრდის პასუხისმგებლობა ეკისრება, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ჩვიდმეტიდან ოც წლამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების უვადო ჩამორთმევით, ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით, 3-1 და 3-2 ნაწილების მე-3 პარაგრაფით გათვალისწინებული ქმედებები, თუ ისინი თუ ისინი ჩადენილია არასრულწლოვანის მიმართ, ან გაუფრთხილებლობით მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოც წლამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების უვადო ჩამორთმევით, ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

მუხლი 123

პირისთვის სქესობრივი კავშირის, სოდომის, ლესბოსელობის, ან სექსუალური ხასიათის სხვა ქმედებების იძულება შანტაჟის, ქონების განადგურების, დაზიანების, ან ჩამორთმევის მუქარით, ან მსხვერპლის მატერიალური ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით –

ისჯება ჯარიმით სამი ათასამდე ყოველთვიური საანგარიშო ინდექსების ოდენობით, ან გამასწორებელი სამუშაოთი იგივე ოდენობით, ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით იგივე ვადით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი არასრულწლოვანის მიმართ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ვადით, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების უვადო ჩამორთმევით.

CONTACT

EQUALITY NOW
Email: info@equalitynow.org
Website: equalitynow.org

EQUALITYNOW.ORG

იანვარი, 2023

Equality Now
A just world for women and girls.